



საქართველოს მწვანეთა მოძრაობა
(დედამიწის მეგობრები – საქართველო)

გარემო და საზოგადოება

ბუნებრივ ხანძრებთან ბრძოლა
კანონმდებლობა ტყის ხანძრების შესახებ



შინაარსი

მეთოდებისა და ტაქტიკის გამოყენება ბუნებრივ ხანძრებთან საბრძოლველად	3
ხელის ინსტრუმენტების გამოყენება ბუნებრივ ხანძრებთან საბრძოლველად	15
საქართველოს მთავრობის დადგენილება № 241 ტყის მოვლისა და აღდგენის წესის შესახებ ...	25
გაუქმებული აქტი.....	37
საქართველოს ეროვნული პოლიტიკის პროექტი ტყის ხანძრების მართვის სფეროში	43

მეთოდებისა და ტაქტიკის გამოყენება ბუნებრივ ხანძრებთან საბრძოლველად



სწავლების მიზნები:

- . ბუნებრივი ხანძრების ქცევის გაგება
- . ჩაქრობის მეთოდების გამოყენება

მნიშვნელოვანია!

- . ხანძრის გამომწვევი ძირითადი ფიზიკური პროცესების გაგება
- . ხანძრის ქცევაზე მოქმედი გარმდ. ფაქტორები

ხანძრის სამკუთხედი


➤ ჟანგბადი – ჰაერის კომპონენტი, ყოველთვის არსებობს ბუნებრივი ხანძრების გარემოში.

ჰაერი ქარის სახით კრიტიკულ როლს ასრულებს ბუნებრივი ხანძრის ფორმირებაში.

➤ სითბო (მაღალი ტემპერატურა) აუცილებელია იმისთვის, რომ საწვავი მასალიდან გამოიყოს ორთქლი, რომელიც ერევა ჟანგბადს და იწვევს ხანძარს.

➤ საწვავი მასალა – ეს არის ნებისმიერი აალებადი მასალა, რომელიც არსებობს.

მეთოდები და ტაქტიკა



საწვავი მასალა
ხანძრის სამკუთხედი

სითბოს გადაცემა/კონვენცია

კონვენცია – ეს არის სითბოს გადაადგილება ზემოთ ჰაერის საშუალებით. ეს არის სითბო, რომელიც გადაადგილდება ჰაერით ალის მხარეს.


კონვენცია – არის, როდესაც გახურებული გაზები წინასწარ აცხელებენ საწვავ მასალას ხანძრის წინ.



სითბოს გადაცემა

ეს არის სითბო, რომელიც გადაადგილდება ერთი წყაროდან ყველა მიმართულებით ტალღების/ სხივების საშუალებით.


საწვავი მასალა უშვებს სითბოს ყველა მიმართულებით და წინასწარ ახურებს ჯერ კიდევ დაუწვავ მასალას. მზე არის კიდევ ერთი წყარო სხივური სითბოსი.



გამტარობა

- ❑ გამტარობა—ეს არის სითბოს გადაცემა მყარი ობიექტის მაღალი ტემპერატურის ადგილიდან დაბალი ტემპერატურისკენ.
- ❑ სითბო გადაეცემა პირდაპირი კონტაქტის გზით ერთი ობიექტიდან მეორეს.
- ❑ მიმღები ობიექტის კომპოზიცია განაპირობებს სითბოს გადაცემის სიჩქარეს.
- ❑ ვინაიდან ხეები ცუდი სითბოს გამტარია, სითბოგამტარობა უმნიშვნელო როლს ასრულებს ბუნებრივ ხანძრებში.

სითბოს ნელი გადაცემა




ხანძრის გარემო


ხანძრის გარემო მოცავს ყველა გარემო პირობას, რომელიც განსაზღვრავს ხანძრის ქცევას.

ხანძრის გარემო განაპირობებს მისი გავრცელების სისწრაფესა და ინტენსივობას.

ის შედგება 3 ძირითადი კომპონენტისგან: საწვავი მასალა, ამინდი, რელიეფი.



საწვავი მასალა



საწვავი მასალა

საწვავი მასალა არის ხანძრის გარემოს ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. მისი მახასიათებლებია:

- კლასი
- ტიპი
- ზომა და რაოდენობა
- ორგანიზაცია
- ტენის შემადგენლობა

არსებობს საწვავი მასალის 2 ძირითადი კატეგორია:

1. წვრილი საწვავი მასალა – ფოთლები, ტოტები, ბალახი, რომლებიც სწრაფად შრება და აღდება. ისინი ახდენენ ყველაზე დიდ ზეგავლენას ხანძრის ინტენსივობასა და გავრცელების სისწრაფეზე.
2. მსხვილი უხეში საწვავი მასალა: დიდი დიამეტრის მორები და ტოტები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში იწვის.

საწვავი მასალის ორგანიზაცია:

საწვავი მასალა შეიძლება განლაგებული იყოს როგორც ჰორიზონტალურად, ასევე ვერტიკალურად.

ჰორიზონტალური ორგანიზაციას ახასიათებს საწვავი მასალის ერთმანეთისგან სხვადასხვა მანძილით განლაგება.

ვერტიკალური ორგანიზაცია – ეს არის საწვავი მასალის განაწილება სიმაღლეზე, ნიადაგის დონიდან ვარჯის დონის ჩათვლით.

ტენის შემადგენლობა საწვავ მასალაში მოქმედებს მის აალებაზე და წვის ინტენსივობაზე: დიდი ტენის მქონე მასალა ნაკლებად აალებადია, ვიდრე ნაკლები ტენის შემცველობის მქონე მასალა, რომელიც იწვის სწრაფად და დიდი ინტენსივობით.

ამინდი


- ხანძრის გარემოს მეტად ცვალებადი და წინასწარ არაპროგნოზირებადი კომპონენტია.
- ამინდის საკვანძო ელემენტებია:
 - შედარებითი ტენიანობა,
 - ჰაერის ტემპერატურა,
 - ქარი,
 - ნალექი, რომელიც აბსორბირდება საწვავ მასალაში. ნალექის ინტენსივობა გავლენას ახდენს საწვავი მასალის ტენიანობაზე.
 - დღისა და ღამის მერყეობა. ხანძრის ქცევა განსხვავებულია დღისით და ღამით. ხანძრის აქტიურობა ღამით ზოგჯერ უფრო ნაკლებია.

რელიეფი

- ასრულებს როლს:
- ხანძრის მიმართულებასა და მის გავრცელების სისწრაფეში.
- რელიეფის საკვანძო მახასიათებლებია:
 - დახრილობა (ყოველი 10 გრადუსი დახრილობის მატება ხანძრის გავრცელების სისწრაფეს აორმაგებს, ყოველი 10 გრადუსით დახრილობის შემცირება კი ანახევრებს.)
 - ადგილმდებარეობა,
 - დახრილობის მხარე (ჩრდილოეთი, სამხრეთი, აღმოსავლეთი, დასავლეთი).

ქარი და ადგილმდებარეობა


ადგილმდებარეობა - ეს არის მიწის ზედაპირის ფიზიკური მახასიათებლები: ზეგანი, მთები, კანიონები, ქედები, სწორი ადგილები, რომლებიც სხვადასხვაგვარად მოქმედებს ხანძრის მიმართულებაზე, სისწრაფეზე და ინტენსივობაზე.



ხანძრის ტიპები

- გამოყოფენ ბუნებრივი ხანძრების 4 ტიპს:
- ნიადაგის, ქვედა, ზედა და ლაქოვანი
- ნიადაგის ხანძარი - იწვის საფარის ქვეშ არსებული ორგანული მასალა, ფესვთა სისტემაში და მიწაში არსებული სხვა საწვავი მასალა (ტორფი, ჰუმუსი...). ნიადაგის ხანძარი ჩვეულებრივ ტორფის ფენებში ხდება.
- ასეთი ხანძარი შეიძლება დარჩეს შეუმჩნეველი კვირებისა და თვეების მანძილზე და შესაძლოა გამოიწვიოს მიწისზედა მასალის აალება.

ნიადაგის ხანძარი



მინერალური ნიადაგი




ნიადაგის ხანძარი

ქვედა ხანძარი - ტყის საფენი, ბალახები, ბუჩქები და სხვა ნიადაგზე გართხმული მცენარეები




ზედა ხანძარი

- ზედა ხანძარი იწვის ხეების კენწეროებზე ინტენსიური ქვედა ხანძრის ზემოთ.



ლაქოვანი ხანძრები

ლაქოვანი ხანძრები ჩნდება დიდი რაოდენობით და ზოგიერთი წინ უსწრებს ძირითად ხანძარს.




4 სხვადასხვა სახის კვამლი




კვამლის ფერი	მკვრივი, თეთრი	რუხი	შავი	შავი-სპილენძის ფერ-ბრონზისფერი
საწვავი მასალის ტენიანობა	ძალიან სველი საწვავი მასალა	სველი საწვავი მასალა	მშრალი საწვავი მასალა	ძალიან მშრალი საწვავი მასალა
ხანძრის ინტენსივობა	დაბალი	მაღალთან მიახლოებული	მაღალიდან ძალიან მაღალამდე	ზედმეტად მაღალი

ბუნებრივ ხანძრებზე საწყისი რეაგირება კრიტიკულ როლს თამაშობს მის ჩაქრობაში. რეაგირების ეფექტურობა დამოკიდებულია ხანძრის მდებარეობის სწორად გარკვევაზე. მისი ქცევის ნიშნების ცოდნაზე ეფექტური მარშრუტის შერჩევაზე უსაფრთხოების დაცვის გათვალისწინებით



ხანძრის ჩაქრობის მეთოდები


- ▣ ხანძრის სამკუთხედის ერთი რომელიმე ელემენტის მოცილება, ან სამკუთხედის დაშლა იწვევს ხანძრის წარმატებულ ჩაქრობას.
- ▣ არის მთელი რიგი ზოგადი სტრატეგიები ხანძრის ჩაქრობისა, რომლებიც მიმართულია ხანძრის სამკუთხედის ერთი რომელიმე ელემენტისაკენ .
- ▣ ჟანგბადის მიწოდების შეწყვეტა შესაძლოა ცეცხლზე მიწის დაყრით, ანდა ტვაცუნა ნიჩბის ცეცხლზე დარტყმით. ასევე ეფექტურია ქაფი ჟანგბადის მიწოდების შესამცირებლად.



სითბოსა და საწვავი მასალის მოცილება

□ წყალი არის ეფექტური საშუალება ხანძრის ჩასაქრობად. წყალი ახდენს სითბოს ენერჯის აბსორბირებას.


□ საწვავის მოცილების მეთოდებს ეწოდება ხანძართან მშრალი ბრძოლა. ეს ხდება ხელის ინსტრუმენტების, ან ტექნიკის გამოყენებით.



ხანძრის ჩაქრობის ფაზები


- ხანძრის გავრცელების შეჩერება,
- ლოკალიზაცია - ხანძარსაწინააღმდეგო ბარიერის შექმნა ხანძრის პერიმეტრზე და მისი ზრდის შეჩერება,
- კონტროლირება - ხანძარსაწინააღმდეგო ბარიერების გაუმჯობესება იმ დონემდე, როდესაც აღარ არსებობს ხანძრის კონტროლიდან გამოსვლის შანსი,
- ჩაქრობა - იწყება, როდესაც ხანძარი კონტროლზეა აყვანილი და გულისხმობს ფართობის ჩაქრობას იმ დრომდე, სანამ არ გაქრება მისი გამეორების შესაძლებლობა,
- ყარაულობა ხანძრის პერიმეტრზე - იძლევა საშუალებას, უზრუნველყოფილ იქნეს კონტროლიდან გამოსვლის შეუძლებლობა. ხანძარი ჩამქრალად ითვლება ბოლო ფაზის შესრულების შემდგომ.

- ქმედითი სტრატეგიები გამოიყენება მაშინ, როდესაც შეტევისა და ჩაქრობის განხორციელება შესაძლებელია უსაფრთხოდ და ეფექტურად.
- დამცავი სტრატეგიები გამოიყენება როდესაც ხანძარი ზედმეტად ინტენსიურია უსაფრთხო შეტევითვის, შეზღუდულია ხანძარსაწინააღმდეგო რესურსები, ან საფრთხეშია განსაკუთრებული მნიშვნელობის ზონები.
- პირდაპირი შეტევა ხორციელდება მცირე ინტენსივობის ხანძრებზე



პარალელური შეტევა გამოიყენება დაბალიდან ზომიერი ინტენსივობის ხანძრებზე

ირიბი შეტევა გამოიყენება დიდი ინტენსივობის ხანძრის წინააღმდეგ



ხელის ინსტრუმენტების გამოყენება ბუნებრივ ხანძრებთან საბრძოლველად



მიზნები:

ხელის ინსტრუმენტების მომზადება მცენარეულ ხანძრებთან ბრძოლის სამუშაოებისთვის მცენარეულ ხანძრებთან ბრძოლის სამუშაოების ჩატარება.



**მოთხოვნები ხელის
ინსტრუმენტების მიმართ:**

- ეფექტურობა
- ნაყოფიერება
- უნივერსალურობა
- ერგონომიურობა
(მოხერხებულობა)
- ტრანსპორტირებისას
ადვილად გადასატანი
- საიმედოობა
- დამზადებისას მარტივი,
უბრალო




ხელის ინსტრუმენტების დანიშნულება

თხრა	გამოფხევა, გამოფოცხვა	ჭრა	შესხურება, მოფრქვევა	ხანძრის ჩაქრობა გრუნტის დაყრით / გადაფარვა
<ul style="list-style-type: none"> • ნიჩაბი • ხიშტა ნიჩაბი • თოხი • კომბინირებული ინსტრუმენტი - გორგი 	<ul style="list-style-type: none"> • ფოცხი • საჩეხი • ფოცხი-თოხი მაკლეოდა • კომბინირებული ინსტრუმენტი - გორგი 	<ul style="list-style-type: none"> • ცული • კომბინირებული ინსტრუმენტი - გორგი 	<ul style="list-style-type: none"> • მოსაკიდებელი საფრქვევი 	<ul style="list-style-type: none"> • ტკაცუნა ნიჩაბი • ხიშტა ნიჩაბი • ნიჩაბი

ნაჯახები

დახასიათება: წონა 2,4-2,5 კგ. (თავის ნაწილი-1-1,5 კგ)
ტარის სიგრძე-65-90 სმ.
ცულის პირის სიგანე- 9 – 9,5 სმ.

გამოყენება: მჭრელი პირო-ხეების, ბუჩქებისა და ტოტების მოსაჭრელად. ცულის ყუა კი სოლის ჩასასობად.



ცული - წერაქვი

მოწყობილობა, რომელიც ითავსებს საჭრელ და მიწის სათხრელ ფუნქციას



ბუჩქების საჭრელები

ნაჯახი და მრუდე დანა ხშირად გამოიყენება ბილიკის გასაჭრელად ხანძრის ჩაქრობისას.

ისინი გამოიყენება პატარა ხეებისა და ტოტების მოსაჭრელად, ბალახეული მცენარეებისგან მიწის გასასუფთავებლად, მორების დასაჭრელად და ძირკვების მოსაცილებლად.



ხანძარსაწინააღმდეგო ნიჩაბი-მოწყობილობა

დახასიათება:

წონა 3,2 კგ. ტარის გარეშე - 1,6 კგ

ტარის სიგრძე 110 სმ

კუთხე ტარსა და პირს შორის - 35°

მზადდება მაღალი ხარისხის რკინისგან.

ტარი რეკომენდებულია ელასტიური ხის მასალისგან. მაგალითად იფანი.



უნივერსალური ნიჩაბი - 4 მოწყობილობა ერთ კორპუსში



ხანძარსაწინააღმდეგო ფოცხები

დახასიათება: წონა 2,2 კგ.
ტარის სიგრძე 120 - 150 სმ.
მზადდება მაღალი ხარისხის
მეტალისგან.



მოწყობილობა ფოცხი-თოხი

წერაქვი - მოწყობილობა,
სახეობები



ტკაცუნა ნიჩბები



შესასხურებელი (შესაფრქვევი) მოწყობილობები

გამოყენება: ცეცხლის, ან ნაკვეთების ჩასაქრობად, ანდა ნახშირის გასანელებლად.



უსაფრთხოება

ხელის ინსტრუმენტები მარტივი და ეფექტურია, მაგრამ შესაძლოა მათმა უყურადღებოდ გამოყენებამ გამოიწვიოს საფრთხე.

ტრავმების რისკის შესამცირებლად საჭიროა:

- > გამოიყენოთ სამუშაოსთვის შესაბამისი ინსტრუმენტი
 - > დარწმუნდეთ, რომ ინსტრუმენტი დაუზიანებელია და ტარი მყარად არის დამაგრებული.
 - > დარწმუნდეთ, რომ ინსტრუმენტი გალესილია.
 - > თუ ინსტრუმენტს არ იყენებთ, საჭიროა მისი შეფუთვა.
- სამუშაო ადგილისკენ გადაადგილებისას:
- > გადაეცით ინსტრუმენტი ტარით წინ.
 - > გადაიტანეთ ინსტრუმენტი წონასწორობის წერტილით (ტარსა და პირს შორის).
 - > ინსტრუმენტები გადატანისას დაამაგრეთ.



ინსტრუმენტების უსაფრთხო და ეფექტური გამოყენება

- > გამოიყენეთ მოწყობილობა მხოლოდ დანიშნულებისამებრ.
 - > იმუშავეთ მანძილის დაცვით (3 მეტრი).
 - > მოაშორეთ ტოტები, რომლებიც ხელს უშლის ინსტრუმენტის მოქნევას.
 - > იყავით ყურადღებით ციცაბო ფერდობზე.
 - > გამოუყენებელი ინსტრუმენტი მჭრელი პირით ჩაარჭვეთ მიწაში.
 - > მყარად დადექით და მაგრად დაიჭირეთ ტარი.
 - > მოახდინეთ კონცენტრაცია საჭირო მიმართულებით.
 - > გამოიყენეთ სინქრონიზაცია და დალლილობის მოსახსნელი მეთოდები.
- გამოყენების შემდეგ:
- > დაძალებული მოწყობილობის მჭრელი პირები.
 - > არ დატოვოთ ინსტრუმენტი იქ, სადაც შეიძლება ფეხი დააბიჯონ.
 - > შენახვამდე შეამოწმეთ, რაიმე ხომ არ დაუზიანდა.

მინერალიზებული ზოლის/ხანძარსაწინააღმდეგო ბარიერის შექმნა.

ხანძარსაწინააღმდეგო ბარიერი - არის ხანძრის საკონტროლებელი ყველა ბუნებრივი და ხლოვნური ბარიერი (მდინარე, ტბა, გზა, არხი, ბილიკი, უკვე დამწვარი ფართობი, მინერალიზებული ზოლი.....).

მინერალიზებული ზოლი - არის ნებისმიერი გაწმენდილი ზოლი, ან ხანძარსაწინააღმდეგო ბარიერის ნაწილი, საიდანაც გამოფოცხვით, ან ამოთხრით მოცილებულია წვადი მასალა მინერალურ ნიადაგამდე.



მინერალიზებული ზოლის შექმნის ძირითადი მეთოდები:

- > ნებისმიერი ხანძარსაწინააღმდეგო ბარიერი უნდა იწყებოდეს საყრდენი წერტილიდან, სადაც ნაკლებია საწვავი მასალა. საყრდენი წერტილი უნდა წარმოადგენდეს ასევე უსაფრთხო ზონას ხანძრის გაძლიერების შემთხვევაში.
- > 3-8 მეხანძრე მუშაობს ერთ გუნდად და განაწილებული აქვთ სამუშაოები.
- საჭიროა:
 - > მცენარეების გაჩეხვა მიწის ზედაპირამდე.
 - > მიწისზედა წვადი მასალის მოცილება. უხეში ჰუმუსის ფენამდე გათხრა.
 - > უხეში ჰუმუსის ფენიდან წვადი მასალების მოცილება.
 - > მინერალური ნიადაგის გამოჩენა.


მინერალიზებული ზოლის სიგანე

- ▣ მინერალიზებული ზოლის სიგანე დამოკიდებულია ხანძრის განმაპირობებელ ყველა ფაქტორზე:
- ▣ ტემპერატურა, სისწრაფე, საწვავი მასალის ტიპი, დახრილობა, რელიეფი, ამინდი,
- ▣ საწვავი მასალის სიმაღლე და სიმკვრივე, საწვავი მასალის შემადგენლობა და ზომა.



რეკომენდაციები მინერალიზებული ზოლის სიგანისთვის

საწვავის ტიპი	გასუფთავებულ ზოლის სიგანე	მინერალური ზოლის სიგანე
ბალახი/ მარცვლეული	0,5 - 1 მ	0,5 - 1 მ
ბუჩქნარი	1 - 3,5 მ	0,2 - 1 მ
ტყე	6 მ	1 მ
ტორფი/ ფესვები	0,5 მ	0,5 მ



ზოგადი წესები მინერალიზებული ზოლის შექმნისას

- უზრუნველყავით უსაფრთხოება.
- განათავსეთ ზოლი ხანძრიდან შესაბამის მანძილზე.
- გამოიყენეთ რელიეფი.
- გამოიყენეთ მოკლე მარშრუტები.
- უზრუნველყავით უსაფრთხო მანძილი ზოლსა და რისკის ფაქტორებს შორის.
- გამოიყენეთ არსებული ბუნებრივი და ხელოვნური ბარიერები.
- მინერალური ზოლის შექმნისას გამოიყენეთ მძიმე ტექნიკა.
- დაწვით ჩაუმქრალი საწვავი მასალა, თუ ეს შესაძლებელია.



**საქართველოს მთავრობის
დადგენილება № 241
2010 წლის 13 აგვისტო
ქ. თბილისი
ტყის მოვლისა და აღდგენის წესის შესახებ**

მუხლი 1

საქართველოს ტყის კოდექსის 116-ე მუხლის „ე.დ.“ ქვეპუნქტის შესაბამისად დამტკიცდეს ტყის მოვლისა და აღდგენის თანდართული წესი.

მუხლი 2

დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2003 წლის 5 აგვისტოს №75 ბრძანება „სახელმწიფო ტყის ფონდის აღდგენისა და გაშენების მიზნით მცენარეთა სახეობების შერჩევისა და მათი გამოყენების წესის შესახებ დებულების“ დამტკიცების თაობაზე“;

ბ) საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2001 წლის 17 იანვრის №10/09 ბრძანება დებულების „საქართველოს სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის უზნისათვის დაცვის განსაკუთრებული რეჟიმის მიკუთვნებისა და ამ რეჟიმის პირობებში სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელების ზოგადი წესის შესახებ“ დამტკიცების თაობაზე“;

გ) საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2001 წლის 10 იანვრის №10/03 ბრძანება „ტყის ხანძრებისაგან დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“;

დ) საქართველოს სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის თავმჯდომარის 1999 წლის 7 დეკემბრის №10/161 ბრძანება დებულების „მოვლითი ჭრის წესის შესახებ“ დამტკიცების თაობაზე“;

ე) საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2002 წლის 4 დეკემბრის №10/161 ბრძანება „სახელმწიფო ტყის ფონდის აღდგენისა და გაშენების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“.

მუხლი 3. (ამოღებულია)

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 ოქტომბრის დადგენილება №391 - ვებგვერდი, 18.10.2011წ.

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი ნ. გილაური

ტყის მოვლისა და აღდგენის წესი

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. წესის მიზანი

ამ წესის მიზანია ტყეებში ეკოლოგიური წონასწორობის, ტყეების ხნოვანებითი სტრუქტურის, სახეობრივი შემადგენლობისა და ხარისხობრივი მდგომარეობის შენარჩუნების, მდგრადი და მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბების, ტყით სარგებლობის შესაძლებლობის გაზრდის, კლიმატური პირობების შენარჩუნებისა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული უარყოფითი ფაქტორების თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ტყის მოვლისა და აღდგენის ღონისძიებათა ჩატარებისას წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირება.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებანი

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობები:

ა) აღმონაცენი – მიწის ზედაპირზე ამოსული გამოჩენილი ღივი, კორომის პირველი ხნოვანებითი პერიოდი;

ბ) დეგრადირებული კორომი – კორომი, სადაც დაწყებულია ძირითადი ნიშან-თვისებების დაქვეითება, გაუარესება;

გ) დაბლითი ხანძარი – ნიადაგის ზედაპირზე, ტყის ჩამონაყარზე, ხმელ ბალახზე, ხმელ ფოთლებსა და ჰუმუსის საფარის ზედა ნაწილებზე მოდებული ცეცხლი;

დ) ზეხმელი ხე – ზრდაშეწყვეტილი ზეზემდგომი გამხმარი ხე;

ე) კალამი – მცენარის აჭრილი ნაწილი, რომლითაც შეიძლება ვეგეტაციური გამრავლება;

ვ) კორომი – მომიჯნავე ტერიტორიისაგან შემადგენლობითა და სტრუქტურით მკვეთრად განსხვავებული ტყის ნაწილი;

ზ) კარტოგრაფიული მასალა:

ზ.ა) საპროექტო ტერიტორიის გეგმა – მასშტაბი 1 :10 000 შესაბამისი ლეგენდით;

ზ.ბ) ტერიტორიის ორგანიზაციის სქემა;

თ) მინერალიზებული ზოლი – ხანძარსაშიში ტყის კორომების გასწვრივ ადვილად აალებადი მასალებისაგან (ძირნაყარი, ქვეტყე, მკვდარი საფარი და სხვ.) გაწმენდილი და ნიადაგის მიწერალურ ფენამდე დამუშავებული, არანაკლებ 4,0 მეტრის სიგანის ზოლი;

ი) ნათესარი – მცენარე, რომელიც თესლიდანაა გაზრდილი;

კ) ნერგი – სანერგის სასკოლო განყოფილებაში აღზრდილი მოზრდილი ტანის 3-4-წლიანი მცენარე;

ლ) პათოლოგიური გამოკვლევა – კორომების სანიტარიული მდგომარეობის დადგენის, მავნებელ-დაავადებათა გამოვლენის, აღრიცხვისა და გამაჯანსაღებელი ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით ჩატარებული კვლევა;

მ) რეკონსტრუქცია – განსაზღვრული ადგილისათვის ნაკლებად ღირებული და დაბალი წარმადობის მერქნიანი სახეობის ხეების კორომებში მათი სახეობრივი და სტრუქტურული შემადგენლობის, აგრეთვე პროდუქტიულობისა და ტყის კორომების მდგრადობის გაუმჯობესების მიზნით არასასურველი მერქნიანი მცენარეების გამოღება და ტყის აღდგენის სამუშაოების წარმოება;

- ნ) სატყეო პლანტაცია – ნარგაობის შექმნა განსაზღვრული სორტიმენტის მერქნის ან ტყის სხვა მაღალხარისხოვანი პროდუქციის მისაღებად;
- ო) სატყეო-სამეურნეო ღონისძიებები – სახელმწიფო ტყის ფონდში განსახორციელებელი ყველა ღონისძიება (ჭრა, დარგვა, გაშენება და ა.შ.);
- პ) სახანძრო ბილიკი – ტყეში ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციის უზრუნველსაყოფად გაყვანილი 2,5 მ სიგანის ბილიკი;
- ჟ) სახეობა – მცენარის ერთ-ერთი ძირითადი ტაქსონომიური ერთეული;
- რ) ტყეკაფი – სახელმწიფო ტყის ფონდის განსაზღვრული ტერიტორია, სადაც გათვალისწინებულია ზეზემდგომი ან ძირნაყარი ხე-ტყის დამზადება;
- ს) ტყის აღდგენა – სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა მრავალწლიანი ციკლი, რომლის მიზანია ტყის ფონდის ტყით დაუფარავ ფართობებსა და დაბალი სიხშირის კორომებში ტყის აღდგენა და გაშენება;
- ტ) ტყის გაშენება – იმ ტერიტორიების გატყევა, სადაც არ არსებობდა ბუნებრივი წარმოშობის ტყე;
- უ) სპეციალური გამოკვლევა – ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით განსაზღვრული მიმართულებით ჩასატარებელი კვლევა, ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება მოიცავდეს ტყის პათოლოგიურ გამოკვლევას;
- ფ) ტყის სანერგე – ფართობი, სადაც ხდება ტყის შემქმნელ სახეობათა სარგავი მასალის მოშენება. ტყის სანერგე შეიძლება იყოს მუდმივი ან დროებითი;
- ქ) ტყის მოვლა – სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა სისტემა, რომლის მიზანია ტყის მდგრადი, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება, მისი ბუნებრივი სასარგებლო თვისებებისა და სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესება;
- ღ) ტყის ხანძარი – ტყის მკვდარი საფარის, ხავსის, ბალახისა და ბუჩქების ან მთლიანი კორომის გადაწვა;
- ყ) ფაუტი ხე – ფუტურო, დამპალი და მშრალად გამოფიტული, სიმკვრივეს მოკლებული ხე;
- შ) ფესვის ნაბარტყი – ყლორტი, რომელიც წარმოიქმნება ზოგიერთი ჯიშის ფესვებზე (დამატებითი კვირტებისაგან) და აქვს საკუთარი ფესვთა სისტემა;
- ჩ) ძირნაყარი ხე-ტყე – წაქცეული ხმელი ხე, მიწაზე დაყრილი მოთხრილ-მოტეხილი, ქარქცეული, თოვლტეხილი მერქანი, წინა წლების ჭრაგავლილი ტყეკაფებიდან გამოუზიდავად დარჩენილი მერქანი, აგრეთვე ხიდან ჩამოცვენილი ტოტები, ფიჩხი;
- ც) ჭრის ინტენსივობა – ხეთა გამოხშირვის ხარისხი, რომელიც ამცირებს საერთო მასას, მარაგს, სიხშირეს, საბურველის შეკრულობას ჭრის ერთ ჯერზე, გამოსახება პროცენტებში ან კუბურ მეტრებში;
- ძ) ხეთა ვარჯის ფორმირება – ხეებზე ქვედა ტოტების (მიწის პირიდან 2 მ-მდე სიმაღლეზე) შეჭრა და უსაფრთხო ადგილზე განთავსება;
- წ) ხმობადი ხე – ხე, რომლის ღეროს ერთი მესამედი გამხმარია.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 ოქტომბრის დადგენილება №3 91 - ვებგვერდი , 18.10.2011 წ.

თავი II ტყის მოვლა

მუხლი 3. ტყის მოვლის ღონისძიებები

1. ტყის მოვლის ღონისძიებათა განხორციელების საფუძველი შეიძლება იყოს:

- ა) სპეციალური გამოკვლევის მასალები;
- ბ) ტყის აღრიცხვისა და მონიტორინგის მასალები;
- გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველი.

2. ტყის მოვლის ღონისძიებებს ახორციელებენ საქართველოს ტყის კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილი ორგანოები, აგრეთვე მათთან შეთანხმებით, ფიზიკური და იურიდიული პირები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2¹. საქართველოს ტყის კოდექსის მე-16 მუხლით განსაზღვრული სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის ორგანო უფლებამოსილია, ტყის მოვლის ღონისძიებების განსახორციელებლად დაინტერესებული პირი შეარჩიოს ინტერესთა გამოხატვის გზით. ამ მიზნით, მართვის ორგანოს უფროსის ბრძანებით იქმნება სპეციალური კომისია, რომელიც განსაზღვრავს ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების პირობებსა და კანდიდატებისათვის წარსადგენ სავალდებულო მოთხოვნებს. კომისიის მიერ დადგენილი პირობებითა და მოთხოვნებით შესაბამისი ინფორმაცია გამოქვეყნდება მართვის ორგანოს ვებგვერდზე. დაინტერესებულ პირთა მიერ ინტერესი გამოხატული უნდა იქნეს ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 14 კალენდარული დღის ვადაში. დაინტერესებულ პირთაგან გამარჯვებულს კონკურენტული შერჩევის წესით გამოავლენს კომისია. რამდენიმე კანდიდატის მიერ ერთნაირი პირობების წარდგენის შემთხვევაში, კომისია ერთნაირი პირობების წარმდგენ კანდიდატებს განუსაზღვრავს ვადას დამატებითი წინადადებების წარსადგენად. შეთავაზებული წინადადებებიდან საუკეთესოს გამოავლენს კომისია.

2². დაინტერესებულ პირს განსახორციელებელი ტყის მოვლის ღონისძიებების სანაცვლოდ შესაძლებელია საკუთრებაში გადაეცეს ამ ღონისძიებების შედეგად მოპოვებული მერქნული რესურსი, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით. ასეთ შემთხვევაში, დაინტერესებული პირი გადაიხდის მხოლოდ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელს „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ცხრილის ტყის მერქნიან სახეობათა შესაბამისი ჯგუფის – მრგვალი ხე-ტყის (მორის) შემთხვევაში – პირველი კატეგორიისათვის და საშემე მერქნისათვის – მე-3 კატეგორიისათვის დადგენილი ოდენობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ტყის მოვლის ღონისძიების სახით გათვალისწინებულია სანიტარიული ჭრის განხორციელება.

3. სპეციალურ გამოკვლევას, მათ შორის, პათოლოგიურ გამოკვლევას, ახორციელებენ საქართველოს ტყის კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილი ორგანოები, ან მათ მიერ განსაზღვრული ტექნიკური დავალების შესაბამისად, ფიზიკური და იურიდიული პირები, ხელშეკრულების საფუძველზე.

4. ტყის მოვლის ღონისძიებებია:

- ა) ტყის ბიოლოგიური, ქიმიური და სელექციური (გენეტიკური) საშუალებებით დაცვა;
- ბ) ტყეების პათოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე ტყის დაცვა ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევის გამომწვევი დაავადებებისა და მავნებლების გავრცელებისაგან;
- გ) მოვლითი ჭრების განხორციელება;
- დ) ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებები;
- ე) ტყეების სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის გასატარებელი ღონისძიებები;

ვ) ტყის სუბალპური ზოლის მოვლის ღონისძიება, ტყის აღდგენა ბუნებრივი განახლების ხელშეწყობით.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 თებერვლის დადგენილება №80 – ვებგვერდი , 15.02.2017წ.

მუხლი 4. მოვლითი ჭრის სახეები

1. კორომთა ხნოვანებისა და ფუნქციური დანიშნულების მიხედვით მოვლითი ჭრის სახეებია:

ა) განათებითი ჭრა – უნდა განხორციელდეს 10 წლამდე ხნოვანების 0,7 და მეტი სიხშირის კორომებში და გულისხმობს ტყის განსაზღვრული უბნის ტერიტორიაზე არასასურველი მერქნიანი სახეობებისა და ეგზემპლარების (მათ შორის, ქვეტყის), ასევე ბალახის საფარის მოცილებას მერქნიან მცენარეთა სახეობრივი შემადგენლობის რეგულირებისა და ზრდის პირობების გაუმჯობესების მიზნით;

ბ) გაწმენდითი ჭრა – უნდა განხორციელდეს 20 წლამდე ხნოვანების 0,7 და მეტი სიხშირის შერეულ კორომებში, ამ ადგილისათვის დამახასიათებელი სახეობის ხეებისათვის ზრდის პირობების გაუმჯობესების მიზნით და გულისხმობს განსაზღვრული ადგილისათვის არასასურველი სახეობის ხეების მოჭრას. უნდა მოიჭრას 8 სმ-მდე დიამეტრის ზრდაში ჩამორჩენილი ხეები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ დიამეტრის ხეების ადგილზე დატოვება ხელს არ შეუშლის ჯანსაღი ხეების არსებობას;

გ) გამოხშირვითი ჭრა – უნდა განხორციელდეს 60 წლამდე (სახეობრივი შემადგენლობის მიხედვით) ხნოვანების 0,7 და მეტი სიხშირის კორომებში და გულისხმობს განსაზღვრული უბნის ტერიტორიაზე ზრდაში ჩამორჩენილი, მრუდეღეროიანი და დაზიანებული ხეების მოჭრას დარჩენილი ხეების ღეროებისა და ვარჯების სასურველი ფორმის მისაღებად აუცილებელი პირობების შექმნის მიზნით;

დ) გავლითი ჭრა – უნდა განხორციელდეს 61 წლის და მეტი ხნოვანების (გამოხშირვითი ჭრის პერიოდის დამთავრების შემდეგ) 0,7 და მეტი სიხშირის კორომებში და გულისხმობს განსაზღვრული უბნის ტერიტორიაზე გადაბერებული, დაზიანებული, მრუდეღეროიანი და ჭრისათვის მიზანშეწონილი სხვა ხეების მოჭრას დარჩენილი ხეებისათვის მერქნის შემატების პირობების გაუმჯობესების მიზნით;

ე) სანიტარიული ჭრა – უნდა განხორციელდეს სპეციალური გამოკვლევისა და წინასწარი აღრიცხვის საფუძველზე კორომების სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესების აუცილებლობის შემთხვევაში და გულისხმობს განსაზღვრული უბნის ტერიტორიაზე ზეხმელი, ხმობადი, ძლიერ ფაუტი და მავნებლებით ძლიერ დაზიანებული ხეების მოჭრას;

ვ) სარეკონსტრუქციო ჭრა – უნდა განხორციელდეს დეგრადირებული მერქნიანი მცენარეების (ხეები და ბუჩქები) კორომებსა და დაცვით ნარგაობაში მათი სახეობრივი და სტრუქტურული შემადგენლობის, აგრეთვე პროდუქტიულობის გაუმჯობესების მიზნით ტყის აღდგენის სამუშაოების განსახორციელებლად.

2. კორომების სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სანიტარიული ჭრით გარემოდან ამოღებული, ხმელი, ხმობადი და ძირნაყარი ხეები უნდა იქნეს გამოტანილი ტყიდან.

3. მოვლითი ჭრა ხელოვნურ ნარგაობაში გულისხმობს დაზიანებული, გამხმარი ეგზემპლარებისა და მავნე მცენარეების პერიოდულად გამოღებას.

4. მოვლითი ჭრებით მიღებული მერქნული რესურსი (თუ ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული) ტყის მართვის უფლების მქონე შესაბამისი ორგანოსთვის გადაცემის მიზნით უნდა დასაწყობდეს ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოების მიერ მითითებულ ტერიტორიაზე.

5. სარეკონსტრუქციო ჭრა ხორციელდება ტყის აღდგენის პროექტის შესაბამისად.

6. კორომთა ხნოვანება და ჭრის განმეორების სარეკომენდაციო პერიოდი მოვლითი ჭრის სახეებისა და მერქნიანი სახეობების მიხედვით განსაზღვრულია დანართის შესაბამისად.

7. მოვლითი ჭრის ყველა სახე (გარდა სანიტარიული და სარეკონსტრუქციო ჭრებისა) ტარდება 0,7 და მეტი სიხშირის კორომებში, რომლებიც განლაგებული არიან 350 -მდე დაქანების ფერდობებზე.

8. მოვლითი ჭრის ინტენსივობა უნდა დადგინდეს კორომის სატაქსაციო მაჩვენებელთა საფუძველზე.

9. ჭრის ინტენსივობა სიხშირეების მიხედვით განისაზღვრება შემდეგნაირად:

- ა) 0.7 სიხშირის კორომებში – არა უმეტეს 10%-ისა;
- ბ) 0.8 სიხშირის კორომებში – არა უმეტეს 15%-ისა;
- გ) 0.9 და მეტი სიხშირის კორომებში – არა უმეტეს 20%-ისა.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 ოქტომბრის დადგენილება №3 91 - ვებგვერდი , 18.10 .2011 წ.

მუხლი 5. ხეების კლასიფიკაცია

მოვლითი ჭრის ჩატარებისას ტყეში ყველა ხე მათი სამეურნეო-ბიოლოგიური ნიშნების მიხედვით იყოფა კატეგორიებად:

ა) რჩეული ხეები – უნდა მიეკუთვნოს ჯანსაღი, თესლით წარმოშობილი, სწორდეროიანი, ტოტებისა და როკებისაგან მაქსიმალურად გაწმენდილი ხეები კარგად ფორმირებული ვარჯით. როგორც წესი, რჩეული ხეების გამოვლენა ხდება გამომხიროვითი ჭრის ხნოვანების პერიოდში;

ბ) დამხმარე ხეები – უნდა მიეკუთვნოს ის ხეები, რომლებიც ხელს უწყობენ რჩეული ხეების ღეროს გაწმენდას ტოტებისაგან, ღეროსა და ვარჯის ფორმირებასა და ნიადაგის დაცვის ფუნქციის გაუმჯობესებას;

გ) მავნე ხეებს უნდა მიეკუთვნოს:

გ.ა) ხეები, რომლებიც ხელს უშლიან რჩეული და დამხმარე ხეების ზრდა-განვითარებას, ასევე ზეხმელი, მოტეხილი და მომაკვდავი ხეები;

გ.ბ) დაგრეხილი, დიდნუჭრიანი, ძლიერ გაბარჯილი ხეები, ძირიდან შეტოტვილი ვარჯით, თუ ასეთი ხეები კორომში არ ასრულებს სხვა რაიმე სასარგებლო ფუნქციას ან/და მათი მოჭრით არ შეიქმნება დიდი ფანჯრები;

გ.გ) კორომში შერეული არასასურველი მერქნიანი სახეობები, თუ ისინი ხელს უშლიან რჩეული და დამხმარე ხეების ზრდა-განვითარებას და მათი მოშორება არ გამოიწვევს კორომის 0.5 სიხშირემდე დაბლა დაყვანას.

მუხლი 6. მოვლითი ჭრის მეთოდები და მოსაჭრელი ხეების შერჩევა

1. მოვლითი ჭრის ჩატარებისას (გარდა განათებითი ჭრისა) უნდა გამოიყოს ტყეკაფი.

2. ტყეკაფის გამოყოფა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. მოვლით ჭრას (გარდა სანიტარიული და სარეკონსტრუქციო ჭრებისა) უნდა დაექვემდებაროს მავნე ხეები და მარაგის შემატების დაჩქარების მიზნით განსაზღვრულ შემთხვევებში – ჯგუფურად მდგარი რჩეული ხეები.

4. სანიტარიული ჭრის ჩატარებისას ხეების შერჩევა უნდა მოხდეს კვარტალის ფარგლებში. კორომიდან გამოღებულ უნდა იქნეს ზეხმელი, ხმობადი (ღეროს ერთი მესამედი ხმელი), გადატეხილი, ძლიერ ფაუტი (ფუტურო), საშიში მავნებლებით დაზიანებული ხეები.

მუხლი 7. მოვლითი ჭრების განხორციელების განსაკუთრებული მოთხოვნები

1. მოვლითი ჭრა უნდა განხორციელდეს ისეთი ფორმებითა და მეთოდებით, რომლებიც უზრუნველყოფს რჩეული ხეების მინიმალურ დაზიანებას. გავლითი, გამომხიროვითი და

გაწმენდითი ჭრების განხორციელების პროცესში ჭრაში დაუნიშნავი ხეების სასიცოცხლო ფუნქციების შეწყვეტით დაზიანება არ უნდა აღემატებოდეს დარჩენილი ხეების 3%-ს.

2. მოვლითი ჭრის დროს (გარდა სანიტარიული და სარეკონსტრუქციო ჭრებისა) კორომის სიხშირე არ უნდა იქნეს დაყვანილი 0.6-ზე ქვევით.

3. ტყის პირებში 50 მ-მდე და ტყის გავრცელების ზედა ზღვრის 300-მეტრიან სუბალპურ ზოლში დასაშვებია მხოლოდ სანიტარიული ჭრის ჩატარება (მავნებლებით დასახლებული ზეხმელი ხეების მოჭრისა და მიწაზე დაყრილი მოთხრილ-მოტეხილი ხე-ტყის დამზადება).

4. მოვლითი ჭრების განხორციელებისას დაუშვებელია მორთვევა ტოტემშეუჭრელად.

5. მოვლითი ჭრებით ხე-ტყის დამზადება 300-ზე მეტი დაქანების ფერდობზე დაიშვება მხოლოდ საბაგირო ტექნოლოგიებისა და ცოცხალი გამწევი ძალის მეშვეობით.

მუხლი 8. ტყეების ხანძრებისაგან დაცვის საერთო მოთხოვ ნები

1. სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ცეცხლის დანთება აკრძალულია ხეების ვარჯის ქვეშ, წიწვიან მოზარდ ტყეში, ძველ ნახანძრალეებში, ტყის დაზიანებულ უბნებში (ტყის ქარქცეულ ან ქარტეხილ ადგილებში), დამზადების ნარჩენებიდან გაუწმენდავ ტყეკავებში, გამოუზიდავად დატოვებული დამზადებული მერქნის ადგილებში, ტორფიან და გამხმარბალახიან ადგილებში.

2. სახელმწიფო ტყის ფონდის დანარჩენ ტერიტორიაზე ხანძრის დანთება დასაშვებია ცეცხლის დასანთები ადგილის (ბაქანი) წინასწარი მოწყობის შემთხვევებში.

3. ბაქნის წინასწარი მოწყობა გულისხმობს ცეცხლის კერიდან 1,5 მ რადიუსში ადვილად აალებადი მასალებისაგან (თივა, ხმელი ბალახი, ფოთლები, ფიჩხი) გაწმენდას.

4. დამზადებული ხე-ტყის დაწყოება უნდა წარმოებდეს მხოლოდ ღია ადგილებში და ხე-ტყის სასაწყობო ადგილები უნდა იყოს გაწმენდილი ადვილად აალებადი მასალებისაგან.

მუხლი 9. ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებები

1. ტყის ხანძრების პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და ხანძარსაშიშროების კლასებად დაყოფა ხდება ტყის აღრიცხვის დროს.

2. სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიას ხანძარსაშიში უბნის სტატუსს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით ანიჭებს საქართველოს ტყის კოდექსის მე-15 ან მე-16 მუხლით უფლებამოსილი ორგანო აღრიცხვისა და მონიტორინგის მასალების საფუძველზე.

3. ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებებია:

ა) სახანძრო დანიშნულების გზებისა და ბილიკების მოწყობა მაღალი ხანძარსაშიშროების კლასის ტყის უბნებში;

ბ) სახანძრო დანიშნულების საავტომობილო გზებისა და ბილიკების მოვლა-შეკეთება;

გ) ტყის ხანძრების შეჩერება-შეზღუდვის მიზნით ხანძარსაწინააღმდეგო მინერალიზებული ზოლების მოწყობა;

დ) დაბლითი ტყის ხანძრების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით წიწვოვან კორომებში ხეთა ვარჯის ფორმირება;

ე) ფოთლოვან და წიწვოვან სახეობათა მწკრივთაშორისი მონაცვლეობით გაშენება ხანძარმდეგი კორომების შექმნის მიზნით;

ვ) ხანძარსაშიში კორომებიდან ძირნაყარი ხე-ტყის გამოტანა და განთავსება უსაფრთხო ადგილზე.

მუხლი 10. ხანძრისა და მისი შედეგების აღმოფხვრის ღონისძიებები

1. სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ხანძრის ლიკვიდაციას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო სახელმწიფო ტყის ფონდის შესაბამისი უბნის მართვის უფლების მქონე ორგანიზაციისა და ტყითმოსარგებლის მონაწილეობით.

2. ნახანძრალი ტერიტორიის აღდგენითი ღონისძიებები ხორციელდება აღდგენის პროექტით.

3. ნახანძრალ ტერიტორიაზე მერქნიანი ხე-მცენარეების მოჭრა დაიშვება სპეციალური გამოკვლევის საფუძველზე და/ან აღდგენის პროექტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

4. ნახანძრალ ტერიტორიაზე ხეების მოჭრის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ტყის მართვის უფლების მქონე შესაბამისი ორგანო.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 ოქტომბრის დადგენილება №3 91 - ვებგვერდი , 18.10.2011 წ.

მუხლი 11. ტყის მოვლა ბიოლოგიური , ქიმიური , სელექციური (გენეტიკური) და სხვა სპეციალური საშუალებებით

1. ბიოლოგიური, ქიმიური, სელექციური (გენეტიკური) და სხვა სპეციალური საშუალებებით ტყის მოვლა ხორციელდება პათოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე დასახულ ღონისძიებათა მიხედვით.

2. ტყეების პათოლოგიური გამოკვლევა მიზნად ისახავს:

ა) კორომების საერთო სანიტარიული მდგომარეობის დადგენას;

ბ) მავნებელ-დაავადებათა გამოვლენას, აღრიცხვას, მათი გავრცელების მასშტაბებისა და განვითარების ტენდენციების დადგენასა და მათთან ბრძოლის რეკომენდაციებს.

3. ტყის მოვლის მიზნით ბიოლოგიური და ქიმიური საშუალებების გამოყენების უფლებას ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ანიჭებენ ტყის კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილი ორგანოები.

4. ტყის ბიოლოგიური და ქიმიური საშუალებებით დაცვის ზედამხედველობასა და კონტროლს თავიანთ სამოქმედო ტერიტორიებზე ახორციელებენ ტყის კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილი ორგანოები.

5. მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ გამოსაყენებელი ბიოლოგიური, ქიმიური, სელექციური (გენეტიკური) და სხვა სპეციალური საშუალებების ნუსხა და მეთოდები თანხმდება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან.

მუხლი 12. ტყის მოვლის ღონისძიებები სტიქიური და სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენების შემთხვევაში

1. სტიქიური მოვლენის (ხანძარი, ქარი, თოვლი, ზვავი, მეწყერი და სხვ.) ან სხვა მასშტაბურ (სოციალური, ბიოლოგიური, გლობალური ეკოლოგიური და სხვ.) გაუთვალისწინებელ შემთხვევებში უარყოფითი შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებები ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამინისტროს სპეციალური გამოკვლევის საფუძველზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში განხორციელებულ ჭრებზე არ ვრცელდება ტყითმოსარგებლობის წესითა და ამ წესით დადგენილი ჭრის მოთხოვნები.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შესაბამის სახელმწიფო უწყებას უფლება აქვს, მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილების ან შემცირების მიზნით განახორციელოს ჭრები მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია ამ პუნქტში აღნიშნული მიზნის მისაღწევად.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დგება შესაბამისი აქტი, რომელიც წარედგინება ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოს.

თავი III ტყის აღდგენა

მუხლი 13. ტყის აღდგენის დაგეგმვა

1. სახელმწიფო ტყის ფონდის აღდგენის ღონისძიებებს, არსებული საშუალებების გათვალისწინებით, ტყის ფონდის აღრიცხვისა და მონიტორინგის მასალებისა და სხვა სპეციალური გამოკვლევების საფუძველზე გეგმავენ საქართველოს ტყის კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილი ორგანოები.

2. სახელმწიფო ტყის ფონდის აღდგენით ღონისძიებებს ახორციელებენ საქართველოს ტყის კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილი ორგანოები, აგრეთვე მათთან შეთანხმებით – ფიზიკური და იურიდიული პირები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. შერჩეულ ტერიტორიებზე ტყის აღდგენა ექვემდებარება დაგეგმვას.

4. დაგეგმილ ტერიტორიაზე უნდა შედგეს ტყის აღდგენის პროექტი, რომელსაც ამტკიცებს სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანო.

5. (ამოღებულია - 13.10.2011, №391)

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 ოქტომბრის დადგენილება №3 91 - ვებგვერდი , 18.10 .2011 წ.

მუხლი 14. ტყის აღდგენის ღონისძიებები

ტყის აღდგენის ღონისძიებებია:

ა) ქვეტყის გამოხშირვა ან მთლიანად მოცილება, ტყისპირისა და სუბალპური მეჩხერი ტყეების მოვლა, დარგვა, თესვა;

ბ) ბუნებრივი განახლების ხელშეწყობა;

გ) რეკონსტრუქცია.

მუხლი 15. აღსადგენი სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორია ის გამოვლენა

1. აღსადგენი სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიის გამოვლენას ახორციელებს მისი მართვისათვის უფლებამოსილი ორგანო.

2. აღსადგენი ტერიტორიის გამოვლენისას უნდა იქნეს დადგენილი და გამოკვლეული შემდეგი გარემოებები:

ა) ფართობი;

ბ) მდებარეობა (სატყეო უბნის, სატყეოს, კვარტალისა და ლიტერის მითითებით);

გ) ამ ტერიტორიაზე ადრე არსებული ტყის შემადგენლობა და გაბატონებული სახეობები (ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში);

დ) ამ ტერიტორიაზე ადრე არსებული ტყის განადგურების მიზეზები (ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში);

ე) ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის გზით ტყის აღდგენის გამოყენების შესაძლებლობის შეფასება (აღმონაცენის რაოდენობა, სახეობა, ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები, ძოვებით ამ ტერიტორიის დატვირთვა და სხვ.);

ვ) ამ ტერიტორიაზე ტყის განადგურების (გაჩეხის, გამეჩხერების) შედეგად გამოწვეული უარყოფითი მოვლენებისა და მათი შედეგების შეფასება;

ზ) სხვა არსებითი გარემოებები.

მუხლი 16. აღდგენას დაქვემდებარებული ტერიტორიები

აღდგენას ექვემდებარება:

- ა) ნახანძრავები და ასევე სხვა მიზეზით განადგურებული როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნურად გაშენებული ტყით დაკავებული ფართობები;
- ბ) ტყით დაუფარავი ფართობები, რომელთა ბუნებრივ-კლიმატური პირობები იძლევა ტყის აღდგენის საშუალებას;
- გ) გამეჩხერებული და ბუნებრივი წარმოშობის მეჩხერი კორომები (0.1-0.2 სიხშირის), რომლებიც საჭიროებს ხელოვნური გზით აღდგენას;
- დ) დეგრადირებული კორომები, რომლებიც საჭიროებს რეკონსტრუქციას.

მუხლი 17. ტყის აღდგენის ფორმები

ტყის აღდგენის ფორმები მოიცავს:

- ა) ტყის აღდგენას;
- ა.ა) ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობას;
- ა.ბ) დარგვასა და თესვას;
- ბ) ტყის გაშენებას დარგვითა და თესვით.

მუხლი 18. ტყის აღდგენის მიზნით ბუნებრივი განახლები სათ ვის ხელშეწყობა

ტყის ბუნებრივი განახლებისათვის ხელშეწყობის ღონისძიებები შეიძლება იყოს:

- ა) ტყის დამაკმაყოფილებელი ბუნებრივი განახლების არსებობისას აღსადგენი ფართობის მთლიანი ან ნაწილობრივი შეღობვა ძოვებისაგან დაცვის მიზნით;
- ბ) ტყის არადამაკმაყოფილებელი ბუნებრივი განახლების პირობებში ფართობის მთლიანი შეღობვა, ნიადაგის აჩიქნა (ფართობის დაახლოებით მესამედზე 8-10 სმ სიღრმით), აგრეთვე შეღობილ ფართობზე სასურველი სახეობის თესლის შეთესვა ბაქნებსა და ზოლებზე (ფართობის დაახლოებით მესამედზე ან უფრო მეტზე, საჭიროების მიხედვით).

მუხლი 19. ტყის აღდგენის ფორმების შერჩევა

1. ტყის აღდგენის ფორმები შეირჩევა ეკოლოგიური და ეკონომიკური მიზანშეწონილობის საფუძველზე.
2. სახელმწიფო ტყის ფონდის იმ ტერიტორიაზე, სადაც ეს შესაძლებელია, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ბუნებრივი განახლებისათვის ხელშეწყობის გზით ტყის აღდგენას.

მუხლი 20. ტყის აღდგენის დაპროექტება

1. დაპროექტებას ექვემდებარება:

- ა) ტყის კულტურების გაშენება;
 - ბ) სანერგეების მოწყობა;
 - გ) სატყეო პლანტაციების გაშენება;
 - დ) დაცვითი ნარგავების გაშენება;
 - ე) დეგრადირებული ტყის კორომების, ეკოსისტემებისა და ტყის ლანდშაფტების რეკონსტრუქცია;
 - ვ) ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის ღონისძიებები.
2. ტყის აღდგენის პროექტი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
- ა) პროექტის შედგენის საფუძველსა (ბრძანება, ხელშეკრულება და ა.შ) და მიზანს;
 - ბ) აღდგენას დაქვემდებარებული ფართობის დეტალურ დახასიათებას: ადგილმდებარეობის (სატყეო უბანი, სატყეო, კვარტალი, ლიტერი), საზღვრების, მიმდებარე ტერიტორიებისა და ბუნებრივი პირობების (კლიმატი, ნიადაგები და სხვ.) მითითებით;

- გ) შერჩეული სახეობის ბოტანიკურ და ბიოეკოლოგიურ თავისებურებათა დახასიათებას;
 დ) შერჩეული სახეობის ენტო- და ფიტომავნებლების დახასიათებასა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის რეკომენდაციებს;
 ე) საპროექტო ღონისძიებებისა და ამ ღონისძიებებით გათვალისწინებული სამუშაოების მოცულობებისა და პარამეტრების შესახებ;
 ვ) მოვლის ღონისძიებებს;
 ზ) კარტოგრაფიულ მასალას;
 თ) (ამოღებულია - 13.10.2011, №391).

3. ტყის აღდგენის პროექტი მტკიცება სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოს მიერ.

4. ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის ღონისძიებების პროექტი უნდა მოიცავდეს ამ მუხლის მე -2 პუნქტის „ა“ , „ბ“ , „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით დადგენილ ინფორმაციას .

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 სექტემბრის დადგენილება №298-სსმIII, №127, 04.10.2010წ., მუხ.1854

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 ოქტომბრის დადგენილება №3 91 - ვებგვერდი , 18.10 .2011 წ .

მუხლი 21. ტყის აღდგენის განხორციელების ეტაპები

1. ტყის აღდგენისა და გაშენების ეტაპებია:

- ა) თესლის დამზადება;
 ბ) სანერგის მოწყობა;
 გ) ტყის აღდგენის პროექტით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების, მათ შორის, აუცილებელი მრავალწლიანი მოვლის განხორციელება.

2. (ამოღებულია - 13.10.2011, №391)

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 ოქტომბრის დადგენილება №3 91 - ვებგვერდი , 18.10 .2011 წ .

მუხლი 22. სარგავი მასალა

ტყის აღდგენისათვის სარგავ მასალად შეიძლება გამოყენებულ იქნეს:

- ა) ნათესარი;
 ბ) ნერგი;
 გ) კალამი;
 დ) ფესვის ნაბარტყი.

მუხლი 23. განსაკუთრებული მოთხოვნები ტყის აღდგენის გან ხორციელებისას

1. მცენარეთა სახეობების შერჩევასა და გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოები უნდა ჩატარდეს ბიომრავალფეროვნების დაცვის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

2. (ამოღებულია - 13.10.2011, №391)

3. სახელმწიფო ტყის ფონდში ტყის აღდგენისათვის სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოს უფლება აქვს, მის სამოქმედო ტერიტორიაზე მოიპოვოს და გამოიყენოს მოზარდ-აღმონაცენი, ფესვის ნაბარტყი და კალამი.

4. სახელმწიფო ტყის ფონდის აღდგენისა და გაშენების მიზნით მცენარეთა მერქნიანი სახეობები შეირჩევა უპირატესად იმ ადგილობრივი სახეობებისაგან, რომლებიც დამახასიათებელია კონკრეტული გარემო პირობებისათვის.

5. სანერგეში სარგავი მასალის აღსაზრდელი ასორტიმენტი შეირჩევა გასატყევებელი ფართობების და სანერგის ბუნებრივ-კლიმატური პირობების შესაბამისად.

6. ინტროდუქციისათვის მერქნიან მცენარეთა სახეობების შერჩევა უნდა მოხდეს მათი ბუნებრივ-კლიმატური და სხვა თვისებების შესწავლით, რათა თავიდან იქნეს აცილებული მათი უარყოფითი ზემოქმედება ადგილობრივ სახეობებსა და სხვა ფაქტორებზე.

7. ინტროდუქცირებული სახეობებით ძირითადად უნდა შეიქმნას სატყეო პლანტაციები.

8. აღდგენილი და/ან გაშენებული ტყის მოვლის სამუშაოების ხანგრძლივობა, ასევე სხვა მახასიათებლები განისაზღვრება ტყის აღდგენის პროექტით.

9. აკრძალულია გენეტიკურად მოდიფიცირებული სათესლე და სარგავი მასალების, მცენარეების და/ან მათი ნაწილების გამოყენება ტყის აღდგენის მიზნით.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 სექტემბრის დადგენილება №298-სსმIII, №127, 04.10.2010წ., მუხ.1854

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 ოქტომბრის დადგენილება №3 91 - ვებგვერდი , 18.10 .2011 წ .

მუხლი 24. აღსადგენი ტერიტორიის შეღობვა

1. თუ ტყის აღდგენა საჭიროებს აღსადგენი ტერიტორიის შეღობვას, სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოს უფლება აქვს, ამ მიზნით გამოიყენოს სახელმწიფო ტყის ფონდში არსებული მოთხრილ-მოტეხილი და ძირნაყარი მერქნული რესურსი.

2. აღსადგენი ტერიტორიის შეღობვისას გამოყენებულ უნდა იქნეს არანაკლებ 2 მეტრი სიმაღლის მერქნული რესურსი, რომელიც მიწის ზემოთ უნდა შეადგენდეს არანაკლებ 1.5 მეტრს.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 სექტემბრის დადგენილება №298-სსმIII, №127, 04.10.2010წ., მუხ.1854

დანართი

კორომთა ხნოვანება და ჭრის განმეორების სარეკომენდაციო პერიოდი მოვლითი ჭრის სახეებისა და მერქნიანი სახეობების მიხედვით

მოვლითი ჭრის სახეები	წიწვოვანები, მუხა, წიფელი, რცხილა, იფანი, ნეკერჩხალი (თესლით წარმოშობილი)		მაგარმერქნიანი ამონაყრითი წარმოშობის, რბილმერქნიანი და სხვა სწრაფმოზარდი სახეობები	
	კორომთა ხნოვანება	ჭრის განმეორების სარეკომენდაციო პერიოდი	კორომთა ხნოვანება	ჭრის განმეორების სარეკომენდაციო პერიოდი
1	2	3	4	5
განათებითი	0-10	5	0-5	3
გაწმენდითი	11-20	5	6-10	3
გამოხშირვითი	21-60	10	11-20	5
გავლითი	61 და მეტი	10-15	21 და მეტი	5-10

3. 14/02/2017 - საქართველოს მთავრობის დადგენილება - 80 - ვებგვერდი, 15/02/2017

2. 13/10/2011 - საქართველოს მთავრობის დადგენილება - 391 - ვებგვერდი, 111017019, 18/10/2011

1. 28/09/2010 - საქართველოს მთავრობის დადგენილება - 298 - სსმ, 127, 04/10/2010

გაუქმებული აქტი

სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი
390.050.000.12.218.004.602

საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის

თავმჯდომარის ბრძანება N10/03

2001 წლის 10 იანვარი

ქ. თბილისი

„ტყის ხანძრებისაგან დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ“
დებულების დამტკიცების თაობაზე

პირველადი სახე (18/01/2001 - 13/08/2010)

საქართველოს ტყეების და ხანძრისაგან დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვის და განხორციელების მიზნით, რომლებიც უზრუნველყოფენ ტყეებში ხანძრების გაჩენისა და გავრცელების მაქსიმალურად აღკვეთას, აგრეთვე ტყის ხანძრებისაგან დაცვის საქმეში ტყითმოსარგებლე იურიდიული და ფიზიკური პირების უფლებებისა და მოვალეობების დასადგენად საქართველოს ტყის კოდექსის 49-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 116-ე მუხლის, „დ.ვ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად შემუშავებულია დებულება „ტყის ხანძრისაგან დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ“.

დებულება შეთანხმებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, საქართველოს დაცული ტერიტორიების, ნაკრძალისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტთან, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს დებულება „ტყის ხანძრებისაგან დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ“.
2. დაევალოს ტყის დაცვის სამმართველოს (რ. მამალაძე) უზრუნველყოს აღნიშნული დებულების რეგისტრაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ მისი გამოქვეყნება დადგენილი წესის შესაბამისად.

გ. ჯაფარიძე

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ტყის ხანძრებისაგან დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება ადგენს ხანძრისაგან დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვისა და განხორციელების წესებს საქართველოს ტყეებისათვის იგი შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ტყის კოდექსის, საქართველოს კანონების „გარემოს დაცვის შესახებ“ და „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“, საქართველოს სხვა კანონების საფუძველზე და სავალდებულოა შესასრულებლად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

მუხლი 2. დებულების მიზანი

1. დებულების მიზანია ტყეების ხანძრებისაგან დაცვის ისეთი პროფილაქტიკური ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს ტყის ფონდში ტყეების დაცვას ხანძრებისაგან; ხანძრების გაჩენისა და გავრცელების მაქსიმალურად აღკვეთას, შეზღუდვას და შეჩერებას, აგრეთვე ტყითმოსარგებლე იურიდიული და ფიზიკური პირების უფლებების და მოვალეობების განსაზღვრას ტყის ხანძრისაგან დაცვის საქმეში.

მუხლი 3. ტყის ხანძრებისაგან დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვა-განხორციელება

1. ტყეების ხანძრებისაგან დაცვის ღონისძიებები იგეგმება სახელმწიფო ტყის ფონდის კადასტრისა და ტყეთმორწყობის, აგრეთვე სხვა სპეციალური გამოკვლევის საფუძველზე.

2. ტყეების ხანძრებისაგან დაცვის ღონისძიებებს, თავიანთ სამოქმედო ტერიტორიებზე, გეგმავენ და ახორციელებენ საქართველოს ტყის კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილი ორგანოები, აგრეთვე მათი ტერიტორიული საქვეუწყებო ორგანიზაციები, ან მათი შედამხედველობით, ამავე კოდექსის მე-9 მუხლით განსაზღვრული სუბიექტები;

3. ტყის უბანს ხანძარსაშიში უბნის სტატუსს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, ანიჭებს საქართველოს ტყის კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილი შესაბამისი ორგანო ტყეთმორწყობის მასალებისა და თავისი საქვეუწყებო დაწესებულების წინადადების საფუძველზე.

4. სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ხანძრის ლიკვიდაციას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სახელმწიფო ტყის ფონდს შესაბამისი უბნის მართვის უფლების მქონე ორგანოსა და ტყითმოსარგებლის მონაწილეობით.

მუხლი 4. ტყის ხანძრებისაგან დაცვის პროფილაქტიკური ღონისძიებები

1. ტყის ხანძრისაგან დაცვის პროფილაქტიკური ღონისძიებებია:

ა) ტყის ხელოვნური ნარგაობის გაშენებისას ფოთლოვანი და წიწვოვანი სახეობების მწკრივთაშორისი მონაცვლეობით გაშენება ხანძარმდგრადი კორომების შექმნის მიზნით;

ბ) სახანძრო დანიშნულების საავტომობილო გზების გაკეთება ტყის იმ უბნებში, რომლებიც მაღალი სახანძრო საშიშროებით ხასიათდება;

გ) სახანძრო ბილიკების გაყვანა მაღალი სახანძრო საშიშროების კორომებისაკენ. სახანძრო ბილიკების მიზმა უნდა მოხდეს საავტომობილო გზებზე ხანძარსაშიში კორომების უმოკლესი მიმართულებით, სახანძრო ბილიკების საწყისში ტრაფარეტზე მანძილისა და მიმართულების აღნიშვნით; პერიოდულად ხდება სახანძრო დანიშნულების საავტომობილო გზებისა და ბილიკების მოვლა-შეკეთება;

დ) ტყის ხანძრების შეჩერება-შეზღუდვის მიზნით ხანძარსაწინააღმდეგო მინერალიზებული ზოდების მოწყობა: ხანძარსაშიში ტყის კორომების გასწვრივ გადახვნით ეწყობა არანაკლებ 4.0 მეტრი სიგანის მინერალიზებული ზოლები; პერიოდულად ხდება ამ ზოლების მოვლა-განახლება;

ე) დაბლითი ტყის ხანძრების ინტენსიური გავრცელების თავიდან აცილების მიზნით წიწვოვან კორომებში ხეთა ვარჯის ფორმირება, რომელიც ითვალისწინებს ამ კორომებში ხეებზე ქვედა ტოტების (მიწის პირიდან 2.0-2.5 მეტრზე) შეჭრას და ტყიდან გამოტანას;

ვ) ხანძრის კერების ოპერატიულად აღმოჩენის მიზნით ტყეების ავიაპატრულირება, ანუ ავიაციის გამოყენებით ხანძარსაშიშ სეზონში ტყეებზე მეთვალყურეობის დაწესება, საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროსთან წინასწარი შეთანხმებით;

- ზ) მოსალოდნელი ინტენსიური ხანძრის კერების აღმოფხვრის მიზნით ტყეების ჩახერგილობისაგან გაწმენდა, რაც გულისხმობს ხანძარსაშიში კორომებიდან მოთხრილ-მოტეხილი, ქარქცეული ხეების გამოტანას, ჭრის ნარჩენებისაგან, ჩახერგილობისაგან გაწმენდას;
- თ) ხანძრების გაჩენაზე ოპერატიული მეთვალყურეობის მიზნით სახანძრო დანიშნულების სამეთვალყურეო-საპატრულო ადგილების შერჩევა-მოწყობა, ძირითადად მთის მწვერვალების, ამაღლებული ადგილების გამოყენებით – ხანძარსაშიში პერიოდში ტყის დაცვის მუშაკთა სადღეღამისო მორიგეობით;
- ი) ხანძრების ოპერატიულად ჩასაქრობად ხანძარსაშიში კორომების სიახლოვეს ხელოვნური წყალსაცავების მოწყობა;
- კ) ტყის ხანძრებზე შეტყობინების ოპერატიულად გადაცემის მიზნით ტყის დაცვის მუშაკთა აღჭურვა თანამედროვე კავშირგაბმულობის საშუალებებით (რაცია, მობილური, ტელეფონები);
- ლ) სახანძრო ტექნიკისა და მაღალი გამავლობის ავტოტრანსპორტის შექმნა;
- მ) ხანძარსაშიში პერიოდში დამატებით მეხანძრე დარაჯთა დაქირავება; წვრილი სახანძრო ინვენტარითა და ტექნიკით უზრუნველყოფა;
- ნ) ტყეში სახანძრო უსაფრთხოების დაცვის სააგიტაციო ნიშნების განლაგება, მოსახლეობასთან სათანადო სააგიტაციო მუშაობა;
- ო) ხანძარსაშიში ადგილებზე და ტყის პირიდან 30 მეტრზე ახლო, ყოველგვარი მშენებლობის აკრძალვა.

მუხლი 5. ტყეების ხანძრებისაგან დასაცავად საერთო მოთხოვნები იურიდიულ და ფიზიკურ პირთა მიმართ

1. ტყის ხანძარსაშიში სეზონში აკრძალულია:

ა) ცეცხლის დანთება წიწვიან მოზარდ ტყეში, ძველ ნახანძრალეებში, ტყის დაზიანებულ უბნებში (ქარქცეულ ან ქარტეხილ ადგილებში), დამზადების ნარჩენებიდან გაუწმენდავ ტყეკაფებში, გამოუზიდავად დატოვებული დამზადებული მერქნის ადგილებში, ტორფიან ადგილებში, სადაც გამხმარი ბალახია, აგრეთვე ხეების ვარჯის ქვეშ. დანარჩენ ადგილებში კოცონის დანთება დასაშვებია წინასწარ მომზადებულ არანაკლებ 0.5 მეტრის სიგანის ნიადაგის მინერალურ ფენამდე გაწმენდილ მინერალიზებულ ხანძარსაწინააღმდეგო ზოლით გარშემორტყმულ სპეციალურ ადგილებში. როცა ცეცხლი საჭირო აღარ არის, იგი უნდა დაიფაროს მიწით, ანდა ჩაქრეს წყლის დასხმით;

ბ) ტყეში ჩაუქრობელი ასანთის ღერის, სიგარეტის ნამწვავისა და სხვა საგნების გადაგდება;

გ) ტყეში ნადირობის დროს იარაღის ვაზნების დასატენი ადვილადი აალებად მასალებით სარგებლობა;

დ) ტყეში სპეციალურად გათვალისწინებული ადგილის გარდა, საწმენდი ჩვრების დატოვება, რომელიც გაჟღენთილია ზეთით, ბენზინით, ნავთით ან სხვა საწვავი ნივთიერებით;

ე) ტყეში შიგა წვის ძრავების ავზში საწვავის ჩასხმა ძრავის მუშაობის დროს, მანქანით სარგებლობა, რომელსაც მოუწესრიგებელი აქვს საწვავის კვების სისტემა, აგრეთვე თამბაქოს წევა, ანდა ღია ცეცხლით სარგებლობა მანქანების ახლოს მათი საწვავით შევსების დროს.

2. იურიდიულ და ფიზიკურ პირებს ეკრძალებათ ბალახის მოწვა ტყის კალთის ქვეშ, ტყის ველობებში, შიდა მინდვრებში, მდელოებში, აგრეთვე ნამჯის მოწვა სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებთან მდებარე სავარგულებში, ხანძარსაშიში ადგილებზე და ტყის ნაპირიდან 30 მეტრზე ახლოს ყოველგვარი მშენებლობა.

3. ტყის ხანძრებისაგან დაცვის მიზნით საქართველოს ტყის კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილ ორგანოებს, აგრეთვე მათ ტერიტორიულ ორგანოებს უფლება აქვთ ადგილობრივი

თვითმმართველობისა და მმართველობით ორგანოებთან შეთანხმებით ხანძარსაშიშ პერიოდში და ადგილზე თავიანთ სამოქმედო ტერიტორიებზე აკრძალონ ტყითსარგებლობა, მოსახლეობის ტყეში ყოფნა, სატრანსპორტო საშუალებებით ტყეში შესვლა და სხვა.

4. იურიდიული და ფიზიკური პირები ვალდებული არიან:

ა) ტყეში გზის, გაზის, ნავთსადენების, წყალსადენების მშენებლობის, ელექტროგადამცემი, კავშირგაბმულობის, რადიოფიკაციის და სხვა კომუნალური ხაზების გაყვანის დროს აწარმოონ დარჩენილი ხეტყის და ადვილად აალებადი მასალების გატანა იმ ვადებში, რომლებიც დადგენილია სატყეო მეურნეობის მიერ;

ბ) ტყეში მუშაობის წარმოების დროს საწვავი მასალები შეინახონ სტანდარტულ დახურულ ტარაში; ხანძარსაშიშ სეზონში გაწმინდონ მათი შენახვის ადგილები მცენარეული საფარისაგან, ხეტყის ნარჩენებისა და სხვა ადვილად აალებადი მასალებისაგან და შემოსაზღვრონ არანაკლებ 1,4 მეტრის სიგანის მინერალიზებული ზოლით;

გ) ტყეში სამუშაოს ჩატარების ადგილზე და ობიექტებზე, ანდა რეკრეაციული და ტურისტულ ღონისძიებების ჩატარების ზონებში მზადყოფნაში იქონიონ ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობა და პირველადი საშუალებები ტყის ხანძრის ჩასაქრობად (წყლით სავსე კასრები, ხილით სავსე ყუთები, ცეცხლმაქრები, ნაჯახები, ბარები, ცოცხები და ა.შ.).

5. დასახლებული პუნქტებიდან გადატანილი ნაგვის დაწვა ტყის ახლოს შეიძლება მხოლოდ დადგენილი წესით, სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში, შემდეგი პირობების დაცვით:

ა) დაწვისათვის განკუთვნილი ადგილები (ორმოები ანდა მოედნები) დაშორებული უნდა იქნეს წიწვოვანი ტყიდან ან ცალკე მდგომი წიწვოვანი ხეებისაგან არანაკლებ 50 მეტრისა, ხოლო ფოთლოვანი ტყისაგან და ცალკე მდგომი ფოთლოვანი ხეებისაგან არანაკლებ 25 მეტრისა;

ბ) ნაგვის დაწვისათვის განკუთვნილი ორმოებისა და მოედნების ტერიტორია 15-20 მეტრის რადიუსის ფარგლებში უნდა იქნეს გაწმენდილი ზეხმელი ხეებიდან, ძირნაყარიდან, დამზადების ნარჩენებიდან ან სხვა ადვილად აალებად მასალებისაგან; ეს ტერიტორიები უნდა შემოსაზღვროს 1.4 მეტრის სიგანის ხანძარსაწინააღმდეგო მინერალიზებული ზოლით; მშრალ ნიადაგებზე წიწვოვან ტყესთან ამ ზოლის სიგანე უნდა უდრიდეს 2.6 მეტრს;

გ) ხანძარსაშიშ სეზონში ნაგვის დაწვა უნდა წარმოებდეს მხოლოდ უქარო ან წვიმიან ამინდში სპეციალურად გამოყოფილი პირის მეთვალყურეობის ქვეშ. გვალვის დროს ნაგვის დაწვა დაუშვებელია.

6. იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც ტყეში აწარმოებენ მუშაობას, ანდა აქვთ ტყეში ობიექტები, აგრეთვე ის პირები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ტყეში რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ-მასობრივი ღონისძიებების ჩატარებისათვის, ხანძარსაშიშ სეზონის დაწყებამდე, ტყეში გამგზავრებამდე ან გასვლამდე ვალდებული არიან ჩაუტარონ ინსტრუქტაჟი მუშებს, ტყეში ჩასატარებელი ღონისძიებების სხვა მონაწილეებს სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვის და ხანძრის ჩაქრობის ხერხების შესახებ.

მუხლი 6. მოთხოვნები ტყითსარგებლობის უფლების მქონე იმ იურიდიული და ფიზიკური პირების მიმართ, რომლებიც აწარმოებენ ხეტყის დამზადებას

1. ტყითსარგებლობის უფლების მქონე იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც აწარმოებენ ხეტყის დამზადებას, ვალდებული არიან ჩაატარონ ტყის ჭრის ადგილების გაწმენდა დამზადების ნარჩენებისაგან;

გაწმენდის მეთოდები ყოველ ცალკე შემთხვევაში აღინიშნება ტყის საჭრელ ბილეთში;

ხანძარსაშიმ პერიოდში ტყეკაფზე დატოვებული დამზადებული ხეტყის პროდუქცია უნდა შეგროვდეს შტაბელეზად.

2. დამზადებული ხეტყის დაწყობა უნდა წარმოებდეს მხოლოდ ღია ადგილებზე – ფოთლოვანი ტყის პირიდან 30 მეტრის, ხოლო წიწვოვანი და შერეული ტყის პირიდან 50 მეტრის დაშორებით. ხეტყის სასაწყობო ადგილები უნდა იყოს გაწმენდილი ადვილად აალებადი მასალებისაგან და შემოფარგლული ხანძარსაწინააღმდეგო მინერალიზებული ზოლებით, სიგანით არანაკლებ 1.4 მეტრისა; მშრალ ნიადაგებზე წიწვოვანებში კი ორი ისეთი ზოლით ერთი მეორისაგან 5-10 მეტრის დაცილებით.

3. ტყითმოსარგებლე იურიდიული და ფიზიკური პირები ვალდებულნი არიან ტყის მეურნეობის მართვის ორგანოს გაუწიონ დახმარება ტყის ხანძრების ჩაქრობაში მუშა ხელითა და ტექნიკით.

მუხლი 7. მოთხოვნები ტყის მეურნეობის მართვის ტერიტორიული ორგანოებისადმი

1. ტყის მეურნეობის მართვის ტერიტორიული ორგანოები ვალდებულნი არიან:

ა) თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გააფართოონ სახანძრო საავტომობილო გზებისა და ბილიკების ქსელი, ხანძარსაწინააღმდეგო მინერალური ზოლები, წყალსაცავები, გაწმინდონ ტყე ხეტყის ნარჩენებისაგან, ჩახერგილობისაგან და სხვა ადვილად აალებადი მასალებისაგან, მოახდინონ წიწვოვან კორომებში ხეთა ვარჯის ფორმირება, გაატარონ სხვა სატყეო სამეურნეო ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია ტყეების ხანძარმდგრადობის ამაღლებისადმი;

ბ) სახანძრო უსაფრთხოებისა და ტყეში ხანძრის ჩაქრობის საკითხებზე ჩაატარონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობასთან, იმ ორგანიზაციების თანამშრომლებთან, რომლებიც ატარებენ ხეტყის დამზადებას ან ობიექტები აქვთ ტყეში;

გ) ტყის ხანძარსაშიმ უზნებში, ასევე ტყის გზებზე განალაგონ სახანძრო უსაფრთხოების დაცვის სააგიტაციო ანშლაგები ტყეში ცეცხლთან ფრთხილი მოპყრობისა და სახანძრო უსაფრთხოების დაცვის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ;

დ) საერთო სარგებლობის ტყის გზების გასწვრივ და რეკრიაციულ ზონებში მოაწყონ დასასვენებელი „კოცონის დასანთები და თამბაქოს მოსაწევი ადგილები;

ე) თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე მიიღონ ზომები ხანძრის დროულად აღმოჩენისა და ლიკვიდაციის უზრუნველსაყოფად;

ვ) აკრძალონ ყოველგვარი მშენებლობები ხანძარსაშიმ უზნებში ტყის პირიდან 30 მეტრზე ახლოს;

ზ) შეადგინონ ოქმები ტყეში სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევებზე;

მუხლი 8. მოთხოვნები იურიდიული და ფიზიკური პირების მიმართ ტყის ხანძრების შემთხვევაში

1. ხეტყის დამამზადებლები და სხვა იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც აწარმოებენ მუშაობას, ანდა გააჩნიათ ტყეში დასახლებები, გზები, საწყობები, ნაგებობები და სხვა ობიექტები, სამუშაო ადგილზე, დაბების ახლოს, გზებთან, საწყობებთან და სხვა ობიექტებთან ხანძრის გაჩენის დროს ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები ხანძრების ლიკვიდაციისათვის თავისი ძალებით და საშუალებებით, აცნობონ ხანძრის შესახებ შესაბამის სატყეო მეურნეობას ანდა შინაგან საქმეთა ორგანოებს, რაიონულ გამგეობებს.

2. მოქალაქენი ტყის ხანძრის შემჩნევის დროს ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები მის ჩასაქრობად, ხოლო თავისი ძალებით ხანძრის ჩაქრობის შეუძლებლობის შემთხვევაში, შეატყობინონ ამის შესახებ სატყეო მეურნეობის მუშაკებს, შინაგან საქმეთა ორგანოებს, რაიონულ გამგეობებს,

მუხლი 9. ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების დაცვის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ

1. ტყეში სახანძრო უსაფრთხოების დაცვის წესების დამრღვევი პირები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ჯარიმდებიან ან ეძლევიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში საქართველოს ტყის კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილი ორგანოების, ამ ორგანოთა ტერიტორიული საქვეუწყებო ორგანიზაციების მუშაკების მიერ შედგენილი ოქმების საფუძველზე. ოქმის ფორმა და შესაბამისი ჯარიმები შემუშავებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბრძანებით დამტკიცებულ დებულებაში „უკანონო ტყითსარგებლობის შედეგად სახელმწიფო ტყის ფონდისათვის მიყენებული ზიანის გაანგარიშების ანაზღაურების წესის შესახებ“;

2. ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების დაცვის წესების დარღვევაში დამნაშავეებზე ჯარიმების დადება, ანდა სხვა ადმინისტრაციული ზემოქმედება არ ათავისუფლებს მათ ვალდებულებისაგან გამოასწორონ დაშვებული დარღვევა იმ ვადებში, რომლებიც დაწესებულია ტყის მეურნეობის მართვის ორგანოების მიერ.

3. ტყის ხანძრის გაჩენაში დამნაშავე იურიდიული და ფიზიკური პირები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად პასუხისმგებელი არიან ტყეზე მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე.

4. ტყეში სახანძრო უსაფრთხოების დაცვის წესების შეუსრულებლობის შემთხვევაში საქართველოს ტყის კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილ ორგანოებს შესაბამისი ტერიტორიული საქვეუწყებო ორგანოების წარდგენით, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე უფლება აქვთ შეაჩერონ ყოველგვარი სამუშაოები ტყეში იმ ფართობებზე და ობიექტებზე, სადაც მოხდა დარღვევა.

5. საქართველოს ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების წესების წვრილმან დარღვევებზე ტყის დაცვის სამსახურის მუშაკებს (სახელმწიფო ინსპექტორებს) უფლება აქვთ ადგილზე დააჯარიმონ დამრღვევები დარღვევებზე შედგენილი ოქმების საფუძველზე.

6. საქართველოს ტყის კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილი ორგანოები უფლებამოსილნი არიან მოახდინონ სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების ხელმძღვანელების წინაშე წარდგინება სამუშაოდან თანამდებობის იმ პირთა გადაყენების შესახებ, რომლებიც სისტემატიურად არღვევენ ტყეში სახანძრო უშიშროების დაცვის წესებს, აგრეთვე იმ პირების, რომლებიც თვითნებურად განაახლებენ შეჩერებულ მუშაობას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მასალები დარღვევებზე გადაუგზავნოს პროკურატურას, ანდა შინაგან საქმეთა ორგანოებს, დადგენილი წესით დამნაშავეთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად.

1. 13/08/2010 - საქართველოს მთავრობის დადგენილება - 241 - სსმ, 100, 17/08/2010

საქართველოს ეროვნული პოლიტიკის პროექტი ტყის ხანძრების მართვის სფეროში

გადამუშავებული ვერსია: 2012 წლის ოქტომბერი

გარემო და უსაფრთხოების (ENVSEC) ინიციატივის პროექტი:

ხანძრების მართვის ეროვნული პოტენციალის გაზრდა და

ბუნებრივი ხანძრების რისკის შემცირება

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში (მეორე ფაზა)

წინათქმა

კლიმატის ცვლილების, ასევე, მიწათსარგებლობისა და მიწათსარგებლობის პრაქტიკაში ცვლილებების შედეგად იზრდება ბუნებრივი ხანძრების წარმოქმნის საფრთხე საქართველოს ტყეების, დაცული ტერიტორიებისა და სხვა მცენარეული რესურსების მიმართ. აქედან გამომდინარე, უნდა გაძლიერდეს ხელისუფლების იმ ორგანოების ინსტიტუციური და ტექნიკური შესაძლებლობები, რომელთა კომპეტენციას განეკუთვნება ტყეებისა დაცვა და სატყეო მეურნეობა, დაცულ ტერიტორიების მართვა, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება. ამავე სფეროში უნდა გაძლიერდეს, აგრეთვე, სამოქალაქო საზოგადოებისა და ადგილობრივი მოსახლეობის/თემების შესაძლებლობებიც, რათა ეფექტურად მოხდეს ბუნებრივი ხანძრების პრევენცია და კონტროლი.

საქართველოს ტყის ხანძრების მართვის ეროვნული პოლიტიკის პროექტი ეხება ბუნებრივი ხანძრების პრევენციასა და კონტროლთან, ასევე სოფლის მეურნეობასა და სატყეო მეურნეობაში ბუნებრივ ხანძრებთან დაკავშირებულ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს. პოლიტიკა და მისი განხორციელების სტრატეგია გათვალისწინებულია 2016 წლამდე პერიოდისთვის.

შესასრულებელი საქმიანობების ძირითადი მიმართულებები უნდა განხორციელდეს შემდეგი სტრატეგიის მეშვეობით:

1) კვლევა, ინფორმაცია და ანალიზი

შესაბამისი პოტენციალის შექმნა კომპეტენტური რგოლის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც სპეციალიზირებული იქნება ბუნებრივი/ტყის ხანძრების კვლევისა და მართვის მეთოდების შემუშავების სფეროში და დახმარებას გაუწევს მონაწილე უწყებებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს.

2) სამართლებრივი ბაზა და კომპეტენციათა განაწილება

სამართლებრივი და მარეგულირებელი ბაზის გაუმჯობესება ხელისუფლების ორგანოების, სამოქალაქო საზოგადოების, განსაკუთრებით ადგილობრივი თემებისა და ინდივიდუალური მიწათმოსარგებლებების უფლებებისა და მოვალეობების სრულყოფილად განსასაზღვრად ხანძრების მართვის დაგეგმვის, პოტენციალის შემუშავების, ხანძრების პრევენციისა და მათზე რეაგირების თვალსაზრისით.

3) ბუნებრივი ხანძრების საფრთხის, რისკისა და მოწყვლადობის შემცირება და ბუნებრივი ხანძრების პრევენცია

ხანძრების პრევენციის ტექნიკური ღონისძიებების სისტემატური დანერგვის გაძლიერება ტყით დაფარულ ფართობებზე (ტყითმოსარგებლეთა სარგებლობაში გაცემულ ტყის ფონდის მიწების ჩათვლით) და საზოგადოების უკეთესი ინფორმირებულობის უზრუნველყოფა ტყის ხანძრების უარყოფითი შედეგებისა და ხანძრების პრევენციაში მათი აქტიური მონაწილეობის მნიშვნელობის თაობაზე.

4) მზადყოფნა: ბუნებრივ ხანძრებზე რეაგირება და უსარფრთხოების გაუმჯობესება

შესაბამისი სწავლების უზრუნველყოფა მეხანძრეებისა და ბუნებრივ/ტყის ხანძრების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში პასუხისმგებელი უწყებების სხვა პერსონალისთვის, პოტენციური მოხალისეების ჩათვლით და, მაღალი სახანძრო რისკის პერიოდებში ადრეული შეტყობინების მიღებისა და გავრცელების პოტენციალის შექმნა, როგორც ადგილობრივ, ასევე ეროვნულ დონეზე.

5) რეაგირება: ხანძრების ქრობა (ხანძრების წინააღმდეგ ბრძოლა)

ტყის ხანძრების ქრობის სპეციალიზირებული დანაყოფები/ქვედანაყოფები უნდა იყოს განთავსებული ბუნებრივი ხანძრების მაღალი რისკის რეგიონებში. სატყეო მეურნეობის ორგანოებისა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს საბიუჯეტო ასიგნებებიდან უნდა გამოიყოს შესაბამისი თანხები ტყის ხანძრების წინააღმდეგ ბრძოლისთვის საჭირო სპეციალური ტექნიკური აღჭურვილობის შესაძენად; საჭიროა ასევე, დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერის მოძიება ბუნებრივი ხანძრების გაზრდილი რისკის ქვეშ მყოფ ტყით დაფარულ ტერიტორიებზე სპეციალიზირებული სახანძრო რაზმების მსუბუქი მექანიზირებული საშუალებებით აღსაჭურვად.

6) საერთაშორისო თანამშრომლობა ხანძრების მართვის თვალსაზრისით

ცოდნის და გამოცდილების გაუმჯობესება სახანძრო საქმესა და ბუნებრივი ხანძრების წინააღმდეგ ბრძოლაში სამხრეთ კავკასიისა და მიმდებარე ქვეყნების გამოცდილების გაზიარების გზით. საქართველოს აქტიური მონაწილეობა ბუნებრივი ხანძრების მართვის რეგიონულ და გლობალურ ქსელებში გლობალური ბუნებრივი ხანძრების ქსელის (Gლობალ ჭილდლანდ Forე ნეტვორკ) საშუალებით, უზრუნველყოფს საქართველოს ჩართულობის მაღალ დონეს და მის აქტიურ

თანამშრომლობას სხვა ქვეყნებთან ბუნებრივი ხანძრებით გამოწვეული უარყოფითი ზეგავლენის შემცირების სფეროში.

1. შესავალი

უკანსკნელი წლების განმავლობაში მომხდარი მნიშვნელოვანი ტყის ხანძრები, ბოლო დეკადის სტატისტიკური მონაცემები და ანგარიშები, გვიჩვენებს, რომ ბუნებრივი ხანძრები დიდ საფრთხეს წარმოადგენს საქართველოს ტყეებისათვის (მათ შორის დაცული ტერიტორიების შემადგენლობაში არსებული ტყეებისთვის). მიუხედავად იმისა, რომ ტყის ხანძრების საშუალო წლიური რიცხვი და ხანძრით განადგურებული ტყის საფარი 1998-2008 პერიოდში (როგორც მოცემულია ოფიციალურ მონაცემებში, რომლებიც სახელმწიფო სტატისტიკური აღრიცხვის საფუძველს წარმოადგენს), ზომიერადაა მიჩნეული (ტყის ხანძრების საშუალო წლიური რაოდენობაა დაახლოებით 30, დამწვარი საშუალო წლიური ფართობი კი დაახლოებით 300 ჰა), უკანსკნელ პერიოდში გაჩენილმა რამოდენიმე ბუნებრივმა ხანძარმა, რომელმაც 2006, 2008 და 2010 წლების მშრალი სეზონების დროს გაანადგურა 765 ჰა, 1270 ჰა და 430 ჰა, გამოავლინა ხანძართან დაკავშირებული უფრო მასშტაბური კატასტროფის მაღალი რისკი. ხანძრები, რომლებიც ტყით დაფარული ფართობების ფარგლებს გარეთ ჩნდება, არ არის ჩართული ოფიციალურ სტატისტიკაში. აქედან გამომდინარე, ისინი ბუნებრივი ხანძრების აღრიცხვის თვალსაზრისით თეთრ ლაქას წარმოადგენენ, რამაც შეიძლება ასევე უარყოფითი გავლენა იქონიოს გარემოსა და საზოგადოებაზე.

განსაკუთრებული გვალვისა და მაღალტემპერატურული პერიოდების ზრდა, რასაც ბოლო დროს აქვს ადგილი, ასევე კლიმატის მოდელირებაზე (ზოგადი ცირკულაციის მოდელი) დაფუძნებული პროგნოზები საშუალებას იძლევა გაკეთდეს დასკვნა იმის თაობაზე, რომ ექსტრემალური ამინდის პერიოდები, რომლებიც ხელსაყრელ პირობებს ქმნის უფრო ხშირი, მასშტაბური და შესაბამისად, დიდი ზარალის მომტანი ბუნებრივი ხანძრებისთვის, გაძლიერდება მომავალ წლებსა და დეკადებში.

ბუნებრივი ხანძრების უმეტესობის დაწყების მიზეზს ადამიანების საქმიანობა წარმოადგენს, განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის მიზნით მიწის გამოყენების კონტექსტში. სოციალ-ეკონომიკურ და მიწათსარგებლობის ცვლილებათა ტენდენციებზე გავლენას ახდენს ქვეყნის ზოგიერთი რეგიონიდან ახალგაზრდა თაობის მიგრაცია. მიწის ინტენსიური კულტივაციის შესუსტებას შედეგად მოყვება ბუნებრივი ხანძრების რისკის ზრდა გამოუყენებელი აალებადი მცენარეული საფარის რაოდენობის ზრდისა და მისი ფრაგმენტაციის შემცირების გამო. გარდა ამისა, მომავალში მიწათმოქმედებისა და აქტიური ხანძარსაწინააღმდეგო დაცვისთვის გამოსადეგი შრომისუნარიანი ასაკის მქონე სამუშაო ძალის შემცირებამ შეიძლება გაზარდოს მასშტაბური ბუნებრივი ხანძრების საყოველთაო რისკი.

ზემოთ მოყვანილი მოსაზრებები დადასტურდა ტყისა და ბუნებრივი ხანძრების თემაზე გამართულ საკონსულტაციო შეხვედრებზე. კერძოდ, 2007-2010 წლებში საქართველოში ჩატარდა ექსპერტთა სამი საკონსულტაციო შეხვედრა ტყის ხანძრების მართვის სამომავლო საჭიროებებთან დაკავშირებით საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით. კონსულტაციებში ჩართული იყვნენ

ტყეებისა და მიწის მართვაზე, სახანძრო დაცვასა და საგანგებო სიტუაციების მართვაზე პირდაპირ და არაპირდაპირ პასუხისმგებელი უწყებების, აგრეთვე, ადგილობრივი თემებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები,

თუ არ ხდება ბუნებრივი ხანძრის სათანადო მართვა, ის შეიძლება უშუალო რისკს უქმნიდეს არა მარტო ტყეებისა და ტყეების გარეთ არსებული ეკოსისტემების მდგრადობას, არამედ საფრთხეს წარმოადგენდეს ბიოლოგიური მრავალფეროვნებისა და ტყეების სარეკრეაციო, ესთეტიკური, ეკოლოგიური და კულტურული ფასეულობებისა და ფუნქციებისათვის. ხანძრებმა შესაძლებელია დიდი ზიანი მიაყენოს ტყის მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას დაზიანების, სიცოცხლის მოსპობისა და ქონების დაკარგვის თვალსაზრისით. ხანძრების შემდგომი მეორადი ბუნებრივი კატასტროფები, როგორცაა მეწყერები, ღვარცოფები და წყალდიდობები, დამატებით საფრთხეს უქმნიან ადამიანებს, განსაკუთრებით მთიან რეგიონებში. ხანძარი ტერიტორიაზე, რომელზეც არის გაუაქტიურებული ასაფეთქებელი საშუალებები და სახმელეთო ნაღები – რაც წარსული კონფლიქტის შემდეგ არის დარჩენილი – დამატებით საფრთხეს უქმნის ხანძრების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულ პერსონალსა და სამოქალაქო პირებს.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ ტყის ხანძრების პრობლემა საქართველოში კომპლექსურია და არ უნდა განიხილებოდეს დანაწევრებულად - მხოლოდ სექტორულ/დარგობრივ დონეზე. ხანძრების მართვის შეზღუდული პოტენციალის დასაძლევად, საჭიროა იმ სახელმწიფო ორგანოებისა და ადგილობრივი მოსახლეობის/თემების ადამიანური და ტექნიკური რესურსების გაძლიერება, რომლებსაც საქმე აქვთ ბუნებრივი/ტყის ხანძრების პრევენციასა და რეაგირებასთან. ქვეყნში ბუნებრივი/ტყის ხანძრების მართვის პოტენციალის გასაზრდელად ტყის ხანძრების მართვის ეროვნულ პოლიტიკა უნდა იყენებდეს სისტემურ და რეალისტურ მიდგომას ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. აღნიშნული პოლიტიკის განხორციელების სტრატეგია ითვალსწინებს ხარვეზების აღმოფხვრას რეალური ფინანსური შესაძლებლობებისა და გონივრული ვადების გათვალისწინებით.

2. ეროვნულ დონეზე ჩატარებული დისკუსიებისა და კონსულტაციების შედეგად გამოვლენილი ხარვეზები და ნაკლოვანებები

2009-2012 წლებში ეროვნულ დონეზე გაიმართა რამოდენიმე შეხვედრა (მრგვალი მაგიდა), სადაც განხილული იქნა ტყის ხანძრების შემცირებისა და თავიდან აცილების საკითხებთან მიმართებაში არსებული ტყისა და მიწების მართვის ტექნიკური, სამართლებრივი და ინსტიტუციური საკითხები, რომლებიც მოიცავდა ასევე, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სამოქალაქო საზოგადოებისა და ინდივიდუალურ მიწათმოსარგებლეთა უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებულ საკითხებს. მრგვალი მაგიდის ფორმატში გამართულ შეხვედრებში მონაწილეობდნენ იმ უწყებებისა და დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები, რომლებმაც, აქტიური როლი უნდა შეასრულონ ტყის ხანძრების მართვის კოორდინირებული სამომავლო სისტემის ფუნქციონირებაში.

აღნიშნული შეხვედრების შედეგად განისაზღვრა ტყის ხანძრების მართვის სფეროში არსებული შემდეგი ხარვეზები და ნაკლოვანებები:

- ტყეების დაცვასა და მართვასთან დაკავშირებული კანონმდებლობა სრულყოფილად არ ითვალისწინებს ტყეების ხანძრებისგან დაცვის ღონისძიებების მარეგულირებელ ნორმებს.
- მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სატყეო მეურნეობის კომპლექსური მართვის გეგმების (ტყის მეურნეობის ორგანიზაციისა და მართვის გეგმების) შემუშავებისა და დამტკიცების სავალდებულო ნორმას, და აქედან გამომდინარე, სისტემურ მიდგომას ტყის ხანძრების თავიდან აცილების (პრევენციის), მზადყოფნისა და ხანძრების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართ. ტყეების ხანძრების რისკების შეფასებასთან დაკავშირებული კლასიფიკაცია საჭიროებს განახლებას. განახლებას საჭიროებს აგრეთვე, ტყის ხანძრებთან დაკავშირებული ტექნიკური ხასიათის სხვა სამართლებრივი მოთხოვნები და ნორმები.
- ტყითმოსარგებლეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობები ტყის ხანძრების მართვის სფეროში სახელმწიფო ორგანოების ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობათან შედარებით არ არის მკაფიოდ განსაზღვრული.
- არ არის საკმარისი დაფინანსება რეგიონებში ტყის ხანძრების მართვისთვის (ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებისთვის). სატყეო მეურნეობის ორგანოების ბიუჯეტი არ მოიცავს ხარჯებს ტყის ხანძრების მართვისთვის (ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებისთვის) - მაშინ, როდესაც დაცული ტერიტორიების სააგენტოს (რომელიც განკარგავს ქვეყნის ტყის ფონდის მხოლოდ 10%-ს), ამგვარი ხარჯები ჩართული აქვს წლიურ ბიუჯეტში.
- არ არსებობს ხანძრების გამოყენების მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზა სოფლის მეურნეობის დარგში. აღნიშნულ საკითხზე ყურადღება იქნა გამახვილებული იმდენად, რამდენადაც, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე გაჩენილი ხანძრები ტყეებსა და დაცულ ტერიტორიებზე გავრცელებული ბუნებრივი ხანძრების ძირითადი წყაროს წარმოადგენს.
- ტყის ფონდის მართვაზე უშუალოდ პასუხისმგებელ უწყებებს არ აქვთ შემუშავებული ტყის ხანძრების მართვის გეგმები საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.
- შემუშავებული არ არის ნორმატიული აქტები, რომლებშიაც ინტეგრირებული იქნებოდა ბუნებრივი/ტყის ხანძრებისა და სხვა ბუნებრივი საფრთხეების მართვის მწყობრი სისტემა.
- ქვეყანაში არ არსებობს ტყის ხანძრების (ბუნებრივი ხანძრების) კვლევის პოტენციალი.
- საჭიროა პასუხისმგებლობების სრულყოფილი გამიჯვნა სხვადასხვა დონეებზე. სახელდობრ, ტყის ფონდის მართვაზე უშუალოდ პასუხისმგებელ უწყებებში უნდა

შეიქმნას სპეციალიზირებული ტყის სახანძრო ქვედანაყოფები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან ტყის ხანძრების კონტროლის პირველ სტადიაზე.

- არ არის შემუშავებული ბუნებრივი/ტყის ხანძრების მართვასთან დაკავშირებული სასწავლო-მეთოდური მასალები და ბუნებრივი/ტყის ხანძრების წინააღმდეგ ბრძოლის სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა;
- არ წარმოებს ადგილობრივი მოსახლეობის რიგებიდან მოხალისე მეხანძრეთა ჯგუფების სწავლება და მათი რეგისტრაცია.

3. ეროვნულ დონეზე ხანძრების მართვის საქმეში არსებული ხარვეზების და ნაკლოვანებების დაძლევის გზები

ეროვნულ დონეზე ხანძრების მართვის საქმეში ხარვეზების დაძლევის გზები მოიცავს ქვემოთ მოყვანილ ექვს ძირითად მიმართულებას.

3.1 კვლევა, ინფორმაცია და ანალიზი

დასაბუთება

ინფორმაციის ნაკლებობა, ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე, ბუნებრივი ხანძრების სიძლიერესა და გავლენაზე, ასევე ეკოსისტემებისა და მოსახლეობის დაუცველობაზე დაძლეულ უნდა იქნეს ბუნებრივი ხანძრების კვლევის, მონიტორინგისა და მართვის სტრუქტურული ერთეულის იდენტიფიკაციის ან შექმნის გზით. ასეთი სტრუქტურული ერთეულის ბაზაზე შესაძლებელი იქნება ბუნებრივი ხანძრების მართვის სფეროში პროფესიული სწავლების პრაქტიკული კურსების ორგანიზება.

სტრატეგიული ამოცანები

- არსებული შესაძლებლობების (პოტენციალის) გაუმჯობესების, მონიტორინგის, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და, ცოდნის ურთიერთგაზიარებისა და გავრცელების ხელშეწყობა ბუნებრივი ხანძრების ეკოლოგიის, ხანძრების მართვის (განსაკუთრებით ბუნებრივ ხანძართან დაკავშირებული საფრთხისა და მიწის დამუშავებისა და სატყეო-სამეურნეო ხასიათის რისკების შემცირების) და ბუნებრივი ხანძრების შემდგომი მცენარეული საფარის მართვის (ხანძრით დაზიანებული ეკოსისტემების აღდგენა) შესახებ ყველა შესაბამის მონაწილეს შორის (სამეცნიერო სექტორი, ხელისუფლების ორგანოები, მიწათმოსარგებლები, ადგილობრივი მოსახლეობა, სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფები და სხვ.);
- თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების, ტრადიციული ცოდნისა და მართვის მეთოდებისა და საჭიროებების ურთიერთდაკავშირება სპეციალიზირებული ერთეულის შექმნის გზით, რომელიც დახმარებას გაუწევს შესაბამის სტრუქტურებს;

- ბუნებრივი ხანძრების ეროვნული მონაცემთა ბაზის, ბუნებრივი ხანძრების მონიტორინგისა და ადრეული შეტყობინების მექანიზმების (პოტენციალის) შექმნა და მართვა;
- თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამის პასუხისმგებელ უწყებებთან მხარდაჭერა ბუნებრივი ხანძრების რისკის შეფასების კუთხით.

პრიორიტეტული ქმედებები

- ოპტიმალური და ამავე დროს საშუალო და გრძელვადიან პერიოდში ფუნქციონირებაზე გათვლილი სტრუქტურული ერთეულის იდენტიფიკაცია ან შექმნა ბუნებრივი ხანძრებთან დაკავშირებული კვლევის, მონიტორინგის და მართვის სფეროში. აღნიშნული ერთეული მიზანშეწონილია ფორმირებული იყოს ტყის ფონდის მართვაზე უშუალოდ პასუხისმგებელი ერთ-ერთი ცენტრალური უწყების ბაზაზე (ამგვარი ერთეულის ფუნქცია შეიძლება დაეკისროს უკვე არსებულ სტრუქტურულ ერთეულს და შესაბამისად, ამავე ერთეულის შემადგენლობაში შერჩეულ იქნეს ბუნებრივ/ტყის ხანძრებზე პასუხისმგებელი თანამშრომელი (ნატიონალ ფირე მანაგემენტ ოფიცერი);
- ბუნებრივ/ტყის ხანძრებზე პასუხისმგებელი შერჩეული თანამშრომლის (ნატიონალ ფირე მანაგემენტ ოფიცერი) ფინანსური უზრუნველყოფის (სტიპენდიის) მოძიებაში ხელშეწყობა შესაბამისი პროფილის კვლევით ინსტიტუტში, უნივერსიტეტში ან მსგავს დაწესებულებაში სტაჟირებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად;
- საწყისი დაფინანსების უზრუნველყოფა ბუნებრივი ხანძრების მართვის სტრუქტურული სპეციალიზირებული დანაყოფისთვის, აუცილებელი პროგრამული და აპარატურული უზრუნველყოფის ჩათვლით;
- საერთაშორისო დონეზე აპრობირებული სასწავლო-მეთოდური მასალების მოძიება, თარგმნა და, საჭიროების შემთხვევაში, ადაპტაცია;
- ბუნებრივი ხანძრების მართვის შერჩეული სახელმძღვანელო მითითებებისა და ინსტრუქციების თარგმნა;
- ბუნებრივ/ტყის ხანძრებთან დაკავშირებული ქართული ტერმინოლოგიის დამატება განახლებულ “ბუნებრივი ხანძრების მართვის საერთაშორისო ტერმინოლოგიაში” (ინგლისური-გერმანულ-რუსულ-მონღოლური ტერმინოლოგიური ლექსიკონი);
- დავალების დადგენის შემდეგ ბუნებრივი ხანძრების კვლევის, მონიტორინგის და მართვის სტრუქტურულმა ერთეულმა უნდა:

-ჩაატაროს სასწავლო კურსები ყველა ჩართული უწყებისთვის/დონისთვის;

-უზრუნველყოს საზოგადოების ინფორმირებისა და ცნობიერების დონის ამაღლებისთვის მასალების შეკრება/შემუშავება და გავრცელება.

3.2 სამართლებრივი ბაზა და ინტიტუციური პასუხისმგებლობა

დასაბუთება

საჭიროა შემუშავებული და მიღებული იქნეს ნორმატიულ-ტექნიკური ხასიათის სპეციფიკური სამართლებრივი ნორმები ბუნებრივი ხანძრების სათანადო მართვის დაგეგმვისა და დანერგვისთვის, რომლებიც სავალდებულო იქნება ტყით და მიწათმოსარგებლებისთვის. უწყებების დარგობრივი კომპეტენციებისა და სამოქალაქო საზოგადოების როლი მკაფიოდ უნდა იქნეს განსაზღვრული. საჭიროა უწყებათაშორისი კოორდინაციის მექანიზმის არსებობა ბუნებრივი/ტყის ხანძრებისაგან დაცვისა და პრევენციის სფეროში უწყებებს შორის ჰარმონიზაციის, კოორდინაციის და თანამშრომლობის განსამტკიცებლად ყველა დონეზე. ასეთი მიდგომის ეფექტურობა დამტკიცდა ისეთ ქვეყნებში, რომლებსაც კარგად განვითარებული ხანძარსაწინააღმდეგო პოტენციალი აქვთ, მაგალითად, აშშ და კანადა. ქვეყნებში, სადაც შეზღუდული ხანძარსაწინააღმდეგო პოტენციალი არსებობს, სულ უფრო მეტად ხდება იმისა აღიარება, რომ უწყებათაშორის კოორდინაციას უფრო ეკონომიური და ეფექტური ზომების გამოყენება მოყვება ბუნებრივი ხანძრების მართვაში (მაგ. მონღოლეთი 2009 წლიდან).

სტრატეგიული ამოცანები

- სამართლებრივი და მარეგულირებელი ბაზის გაუმჯობესების უზრუნველყოფა სამთავრობო უწყებების, სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეების, განსაკუთრებით ადგილობრივი მოსახლეობისა (თემებისა) და ინდივიდუალურ მიწათმოსარგებლეთა პასუხისმგებლობებისა და ვალდებულებების განსასაზღვრად ბუნებრივი ხანძრების მართვის დაგეგმვის, პოტენციალის შექმნის, ხანძრების პრევენციისა და მასზე რეაგირების სფეროში;
- ტყითმოსარგებლებისა და ტყის ფონდის მართვაზე უფლებამოსილი ორგანოების პასუხისმგებლობათა მკვეთრი გამიჯვნა;
- მარეგულირებელი ნორმების შემოღების უზრუნველყოფა ხელოვნური ხანძრების გამოსაყენებლად ყველა ტიპის, განსაკუთრებით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე;
- უწყებათაშორისი კოორდინაციის მექანიზმის შექმნა ჰარმონიზაციის, კოორდინაციის და თანამშრომლობის განსამტკიცებლად ბუნებრივი/ტყის ხანძრებისაგან დაცვისა და პრევენციის სფეროში ყველა დონეზე.

პრიორიტეტული ქმედება

- ტყის კოდექსსა და `ტყის ფონდის მართვის შესახებ` (2010) საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანა ტყის ფონდის მიწებზე ტყის ხანძრების მართვის გეგმების შემუშავების ვალდებულების გათვალისწინებით, ტყითმოსარგებლეთა პასუხისმგებლობის ჩათვლით;
- მარეგულირებელი ნორმების შემოღება ხელოვნური ხანძრების გამოსაყენებლად ყველა ტიპის, განსაკუთრებით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე;
- სამთავრობო დონეზე ან ტყის ფონდის მართვაზე უშუალოდ პასუხისმგებელ უწყებების მიერ ერთობლივი სათათბირო/საკოორდინაციო კომისიის/საბჭოს სტატუსით ტყის ხანძრების მართვის (ტყის ხანძრებისაგან დაცვისა და პრევენციის) კომისიის/საბჭოს ჩამოყალიბება, რომლის მუშაობის კოორდინაციას მოახდენენ აღნიშნული უწყებები ერთობლივად. კომისიის/საბჭოს მუშაობაში, დაინტერესებული სამთავრობო უწყებების გარდა, მონაწილეობას მიიღებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სამეცნიერო დაწესებულებები.

3.3 ბუნებრივი ხანძრების საფრთხის, რისკის და დაუცველობის შემცირება და ბუნებრივი ხანძრების პრევენციადასაბუთება

ბუნებრივი ხანძრების უმეტესობა საქართველოში გამოწვეულია ადამიანური ფაქტორის, განსაკუთრებით, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად. სხვა ბუნებრივი კატასტროფებისგან განსხვავებით, ბუნებრივი ხანძრების რისკი და სიმძიმე შეიძლება შემცირდეს მიზანმიმართული ზომების გატარებით. თუმცა, ვინაიდან სოფლის მეურნეობაში გამოყენებული გადაწვის (ხელოვნური ხანძრების) პრაქტიკა შეიძლება ემსახურებოდეს სტაბილური მოსავლის მიღების მიზანს, ცეცხლის გამოყენება მიწათსარგებლობაში აკრძალვის ნაცვლად უნდა რეგულირდებოდეს დაწვის ნებართვით და კონტროლის სისტემით. დამტკიცებულია, რომ ცეცხლის გამოყენების აკრძალვა სასოფლო-სამეურნეო სექტორში კონტროლდუქტიულია, ვინაიდან მოსალოდნელია, რომ ფერმერები/მეცხოველეები მაინც გააჩაღებენ კოცონს, მაგრამ შემდეგ დატოვებენ იმ ადგილს, რათა არ დაისაჯონ. ამ შემთხვევაში ცეცხლი კონტროლიდან გამოვა. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად ესპანეთში, ფერმერებს აძლევენ რეკომენდაციებს და სთავაზობენ ტექნიკურ მხარდაჭერას სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის დაგეგმილი გადაწვის პროცედურების ჩასატარებლად.

ტყის ფონდის მიწებზე ბუნებრივი ხანძრების პრევენციის ტექნიკური ღონისძიებების დანერგვა უნდა შედიოდეს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების წლიურ ბიუჯეტში. ასევე, მკაფიოდ უნდა იქნეს დადგენილი ტყითმოსარგებლეთა ვალდებულებები.

წარსულ პერიოდში შექმნილი სამხედრო მოქმედებათა ზონები დამატებით საფრთხეებს შეიცავს, მაგალითად, იმ ტერიტორიაზე, სადაც სახმელეთო ნაღმები და გაუაქტიურებელი ასაფეთქებელი

საშუალებებია. კლასტერული ბომბები ფართოდ გამოიყენებოდა 2008 წლის კონფლიქტის დროს და დღესაც საფრთხეს წარმოადგენს მოსახლეობისთვის. უფრო მეტიც ყუმბარები, რაკეტები და სხვა საარტილერიო საბრძოლო მასალები მიტოვებული ან დატოვებული იყო ე.წ სამხრეთ ოსეთის მიმდებარე ზონებში კონფლიქტის შემდეგ. ეს დარჩენილი საბრძოლო მასალები დამატებით ბარიერს უქმნის მოსახლეობას მათ ტრადიციულ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე მუშაობის, ტყეში გადაადგილების, და წყლის მომარაგების თვალსაზრისით. გარდა ამისა, ეს სიტუაცია უქმნის განსაკუთრებულ საფრთხეს ქალებს და ბავშვებს, მოსავალის აღების, შეშის და ტყის სხვა პროდუქტების შეგროვებისას. ასეთ ადგილებში გაჩენილი ხანძარი მაღალ რისკს უქმნის მოსახლეობას და მეხანძრეებს.

ამჟამად ტყითმოსარგებლეთა პასუხისმგებლობები სახელმწიფო ორგანოების პასუხისმგებლობასთან შედარებით ხანძრების მართვის თვალსაზრისით არ არის მკაფიოდ გარკვეული.

სტრატეგიული ამოცანები

- ბუნებრივი ხანძრების პრევენციის სისტემატიური ტექნიკური ღონისძიებების გატარება ტყის ფონდის მთელ ტერიტორიაზე, ტყითმოსარგებლების სარგებლობაში გადაცემული ტყის ფონდის მიწების ჩათვლით;
- საზოგადოების უკეთესი ინფორმირებულობა ტყის ხანძრების უარყოფით შედეგების და ბუნებრივი ხანძრების პრევენციაში მათი აქტიური მონაწილეობის თაობაზე;
- სახელმძღვანელო მითითებებისა და ნორმების შემუშავება ყველა ტიპის ბუნებრივ/ტყის ხანძრებზე, განსაკუთრებით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე ხელოვნური ხანძრების გამოსაყენებლად;
- სატყეო მეურნეობისა და დაცული ტერიტორიების ორგანოების მიერ ადგილობრივი მოსახლეობისთვის (თემებისთვის) რეკომენდაციების მიცემა და ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა მათი ბუნებრივი ხანძრების პრევენციაში აქტიური ჩართვის მიზნით, მიწათსარგებლობის პროცესში ხელოვნური ხანძრების უსაფრთხო გამოყენების ჩათვლით;
- სისტემატიზირებული ინფორმაციის მიწოდება მეხანძრეებისთვის სახმელეთო ნაღმების და გაუაქტიურებელი ასაფეთქებელი საშუალებების ადგილმდებარეობის შესახებ, ასევე “წითელი ზონების” განსაზღვრა, სადაც შეზღუდული იქნება შესვლა, როგორც ზოგადად, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო ოპერაციების წარმოების დროს.

პრიორიტეტული ქმედება

- საჭირო მინიმალური წლიური ბიუჯეტების განსაზღვრა სატყეო მეურნეობის ტერიტორიული ორგანოებისთვის ბუნებრივი ხანძრების მართვის დაგეგმვის და დანერგვის ღონისძიების ჩასატარებლად, ბუნებრივი ხანძრების რისკის შემცირებაზე აქცენტით;

- მკაფიოდ განსაზღვრული ვალდებულებების შემუშავება ტყითმოსარგებლებისათვის, მათ მიერ ხანძრების პრევენციისა და მზადყოფნის ღონისძიებების გატარების შესახებ და მათი აღსრულების უზრუნველყოფა;
- საზოგადოების ინფორმირებულობის კამპანიების ჩატარება ბუნებრივი ხანძრების პრევენციის ხელშესაწყობად, მაგ. დიდი საინფორმაციო დაფების დაყენებით ხანძრის რისკს დაქვემდებარებულ ტყეებში და დაცულ ტერიტორიებზე, დასასვენებელ ზონებში (ე.წ. “სარეკრეაციო-საპიკნიკე ადგილებში”);
- ტყის მართვაზე პასუხისმგებელი ორგანოების მიერ ბუნებრივი ხანძრების პრევენციასთან დაკავშირებით მუდმივი დიალოგის წარმართვა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან, ადგილობრივ მოსახლეობასთან (თემებთან), ადგილობრივ დონეზე სწავლების ორგანიზების ჩათვლით;
- რუკის შექმნა, სადაც აღნიშნული იქნება სახმელეთო ნაღმების და გაუაქტიურებელი ასაფეთქებელი ნივთიერებების ადგილმდებარეობა - ბუნებრივი ხანძრების დროს შეზღუდული ზონების შესახებ ინფორმაციის მკაფიოდ მითითებით (სამოქალაქო პირებისა და მეხანძრეებისთვის).

3.4 მზადყოფნა: ბუნებრივ ხანძარზე რეაგირების და უსაფრთხოების გაუმჯობესება

დასაბუთება

ბუნებრივი ხანძრების პრევენციისთვის გატარებული ზომების მიუხედავად, ყოველთვის არსებობს ბუნებრივი ხანძრების რისკი. ხანძრების მართვაში ჩართული ყველა მონაწილე მომზადებული და მზადყოფნაში უნდა იყოს უეცრად წარმოშობილი ტყის ხანძრების კონტროლისთვის და – განსაკუთრებული სახანძრო საფრთხის პერიოდებში – დიდმასშტაბიანი ბუნებრივი ხანძრების კატასტროფის მართვასთან დაკავშირებული პრობლემების გადასალახად. მზადყოფნა მოიცავს სწავლებას, აღჭურვას და დაკომპლექტებას ხანძრების დაწყებამდე, ასევე, ბუნებრივი ხანძრების შესახებ ადრეული შეტყობინების მიღების, სწრაფი აღმოჩენისა და რეაგირების უნარს. ბუნებრივი ხანძრების სწრაფი აღმოჩენა და მასზე სწრაფი რეაგირება ზრდის ხანძრების კონტროლის საშუალებას მის ადრეულ სტადიაზე და, შესაბამისად ამცირებს უკონტროლო ხანძრების გავრცელების ალბათობას.

სტრატეგიული ამოცანები

- შესაბამისი პროფესიული სწავლების უზრუნველყოფა მეხანძრეებისა და ხანძრების ქრობაზე პასუხისმგებელი უწყებების სხვა პერსონალისთვის, პოტენციური მოხალისეების ჩათვლით;

- ყოველწლიური სწავლების/კვალიფიკაციის ამაღლების და/ან მზადყოფნის შეხვედრების უზრუნველყოფა რისკის ქვეშ მყოფ ადგილობრივ მოსახლეობასთან (თემებთან) სახანძრო სეზონის დასაწყისში;
- სახანძრო სეზონის დასაწყისში აღჭურვილობის ტექნიკური მომსახურების და შემოწმების უზრუნველყოფა, რათა მუდმივ მზადყოფნაში იყოს გამოყენებისთვის; ასევე განგაშისა და ინციდენტის მართვისათვის საჭირო კომუნიკაციის და კოორდინაციის სისტემის მზადყოფნაში ქონა;
- მაღალი სახანძრო რისკის პერიოდებში ადრეული შეტყობინების მიღებისა და გავრცელების მექანიზმების (პოტენციალის) შემუშავება და დანერგვა, როგორც ადგილობრივ, ასევე ეროვნულ დონეზე;
- სახმელეთო პატრულირების და საჰაერო ზედამხედველობის ორგანიზება ხანძრების მაღალი რისკის რეგიონებში და ბუნებრივი ხანძრების სწრაფი გავრცელების საფრთხის დროს.

პრიორიტეტული ქმედება

- პუნქტში 3.1 ჩამოთვლილი ქმედებების შესაბამისად
 - სასწავლო-მეთოდური მასალების თარგმნა ქართულ ენაზე მეხანძრეებისთვისა და მონაწილე უწყებების მიერ გამოსაყენებლად; სასწავლო კურსების სტანდარტული ტრენინგ-მოდულის შემუშავება EუროFირე სტანდარტებზე დაფუძნებით;
 - ბუნებრივი/ტყის ხანძრების მართვის საერთაშორისო მითითებების (მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მეთოდური მითითებები მცენარეული საფარის ხანძართან დაკავშირებით; გაეროს მითითებები მოხალისეებისთვის ხანძარის მართვასთან დაკავშირებით) თარგმნა;
 - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ინფორმაციული მასალების შემუშავებისა და მათი სათანადო ადგილებზე განლაგებით ხანძრების რისკის ქვეშ მყოფ ზონებში.
- შესაბამისი საბაზო ტრენინგის ჩატარება ტყის ხანძრების მართვის სფეროში (უნდა განისაზღვროს სამიზნე ჯგუფები);
- ბუნებრივი ხანძრების შესახებ ადრეული შეტყობინების ყოველდღიური ინფორმაციის ვებ-გვერდზე ჩამოტვირთვა და ამ ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული უწყებებისთვის ხანძრების სეზონში; ეროვნული სახანძრო საფრთხის რეიტინგის სისტემის შექმნა სახანძრო საფრთხესთან დაკავშირებული მაღალი სიზუსტის ინფორმაციის მიწოდების უზრუნველსაყოფად;

- ბუნებრივი ხანძრების აღმოჩენის საერთაშორისო თანამგზავრული სისტემის მეშვეობით გადაღებული აქტიური ხანძრების სურათის ყოველდღიური მონიტორინგი საქართველოსა და მიმდებარე ქვეყნებში და ამ ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული უწყებებისთვის სახანძრო სეზონის დროს;
- სახმელეთო პატრულირების და და საჰაერო ზედამხედველობის ორგანიზება ხანძრების მაღალი რისკის რეგიონებში და ბუნებრივი ხანძრების სწრაფი გავრცელების საფრთხის დროს.

3.5 რეაგირება: ხანძრების ჩაქრობა

დასაბუთება

მიუხედავად პრევენციის ღონისძიებებისა, ბუნებრივი ხანძრები ყოველწლიურად ჩნდება. განსაკუთრებით მშრალი და ცხელი პერიოდების განმავლობაში, რომლებიც მომავლში უფრო ხშირად მოსალოდნელი, მასშტაბური და დამაზარალე ხანძრების ალბათობა, სავარაუდოდ, გაიზრდება. ნებისმიერი ბუნებრივი ხანძრების წარმატებით კონტროლისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია ხანძარზე სწრაფი რეაგირება და ცეცხლის ჩაქრობა ადრეულ სტადიაზე. ამრიგად, პასუხისმგებელი უწყებები და მოსახლეობა მზადყოფნაში უნდა იყოს სათანადო პოტენციალის შექმნის მეშვეობით და უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ტექნიკური საშუალებებით ადრეული შეტყობინებისა და ხანძარზე სწრაფი და ეფექტური რეაგირებისთვის.

სტრატეგიული ამოცანები

- უნდა შეიქმნას ტყის ხანძრების წინაღმდეგ ბრძოლის (ტყის ხანძრების ქრობის) სპეციალიზირებული ერთეულები ბუნებრივი ხანძრების მაღალი რისკის რეგიონებში – იმ უწყებათა შემადგენლობაში (სატყეო მეურნეობის ორგანოები და დაცული ტერიტორიების ორგანოების), რომლებიც უშუალოდ აგებენ პასუხს ტყის ფონდის მართვაზე;
- ეს ერთეულები აღჭურვილი უნდა იყვნენ ბუნებრივ ხანძარზე რეაგირებისთვის აუცილებელი საშუალებებით, როგორცაა ხელის ინსტრუმენტები და, თუ შესაძლებელია, ყველგანმავალი მანქანებით რთულ რელიეფში სამუშაოდ;
- ხანძარზე სპეციალიზებული რეაგირების შესაძლებლობები უნდა არსებობდეს მთის ფერდობებისთვისაც (მაგალითად, ცხენების გამოყენება პერსონალის და აღჭურვილობის ტრანსპორტირებისთვის), სადაც შეუძლებელია მანქანების გამოყენება.

პრიორიტეტული ქმედება

- ტყის ფონდის მართვაზე უშუალოდ პასუხისმგებელი უწყებების (სატყეო მეურნეობის ორგანოები და დაცული ტერიტორიების ორგანოების) ყოველწლიურ ბიუჯეტებში ბუნებრივი ხანძრების მაღალი რისკის ზონებში სპეციალიზირებული სახანძრო

რაზმების აღჭურვისათვის საჭირო ხარჯების (ხელის ინსტრუმენტები, ინდივიდუალური დამცავი აღჭურვილობა და სხვ.) გათვალისწინება;

- დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერის მოძიება და მოზიდვა ბუნებრივი/ტყის ხანძრების გაზრდილი რისკის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე სპეციალიზირებული სახანძრო ქვედანაყოფების აღსაჭურვად მსუბუქი მექანიზებული სატრანსპორტო და სხვა საშუალებებით (ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკის სპეციალიზირებული სახანძრო ქვედანაყოფის გამოცდილების გათვალისწინებით).

3.6 საერთაშორისო თანამშრომლობა ხანძრების მართვის სფეროში

დასაბუთება

საერთაშორისო თანამშრომლობა ხანძრების მართვის თვალსაზრისით, საშუალებას აძლევს ქვეყნებს გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება და ცოდნა სახანძრო საქმეში. საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შემუშავება და მათი დანერგვა შესაძლებლობების გაძლიერების, აღჭურვილობის შექმნასა და ხანძრების მართვის პროცედურებში საშუალებას იძლევა, შეიქმნას “ურთიერთავსებადი” სისტემები სახელმწიფოებისთვის, რომლებსაც სურთ, საჭიროების შემთხვევაში, მათ ხელთ არსებული რესურსების ერთობლივი გამოყენება. განსაკუთრებული საგანგებო სიტუაციების დროს ბუნებრივი ხანძრების თვალსაზრისით, ქვეყნები ეფექტურად შეიძლება დაეხმარონ ერთმანეთს, თუ შესაძლებელი იქნება შეთანხმებული სტანდარტების გამოყენება.

პროფესიული გამოცდილების გაზიარება და რესურსების ერთობლივი გამოყენება პოტენციალის შემუშავების და აპარატურული უზრუნველყოფის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე ქვეყნების შორის, რომლებსაც თვითონ არ შეუძლიათ ყველა რესურსის მობილიზება და/ან უზრუნველყოფა ადამიანური და ტექნიკური პოტენციალის შესაქმნელად. თანამშრომლობის შესახებ ორმხრივი ხელშეკრულებებით შესაძლებელია ერთობლივი სასწავლო კურსების, ვარჯიშების ორგანიზება და პროტოკოლების შემუშავება ბუნებრივ ხანძართან დაკავშირებულ საგანგებო სიტუაციებში საზღვარს გარეთ დახმარების უზრუნველყოფისთვის. რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე არაოფიციალური და მოხალისეობის პრინციპზე დაფუძნებული თანამშრომლობის მექანიზებმა, როგორცაა რეგიონული და რეგიონთაშორისი ქსელები, შეიძლება ასევე მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ინფორმაციის და რესურსების (მაგალითად, ხანძრების თანამგზავრებით აღმოჩენის კარგად განვითარებული სისტემები და მეთოდები, მონიტორინგი და ზემოქმედების შეფასება, ხანძრების ადრეული შეტყობინების სისტემები) გაზიარების თვალსაზრისით. ასევე მნიშვნელოვანია მსგავსი ეკოლოგიური, კულტურული და სოციალ-ეკონომიკური პირობების მქონე ქვეყნების პროფესიული გამოცდილების გაზიარება.

სტრატეგიული ამოცანები

- სახანძრო საქმეში და ბუნებრივი ხანძრების ქრობაში ცოდნის გაუმჯობესება, სამხრეთ კავკასიისა და მიმდებარე ქვეყნებს შორის გამოცდილების ურთიერთგაზიარების გზით;
- ოპერატიული და შუალედური სამუშაო შეთანხმებების მიღწევა მეზობელ ქვეყნებთან, რაც იძლევა ადამიანური და ტექნიკური რესურსების გაზიარების საშუალებას ბუნებრივი ხანძრებისთვის მზადყოფნისა და მათზე რეაგირების მიზნით;
- აქტიური პარტნიორობა იმ საერთაშორისო ქსელებთან და ორგანიზაციებთან, რომელთა საქმიანობა პირდაპირ ან არაპირდაპირ ეხება გარემოსა და საზოგადოების მიმართ ბუნებრივი ხანძრებით გამოწვეული ზიანის შემცირებას.

პრიორიტეტული ქმედებები

- პუნქტ 3.1-ში ჩამოთვლილი ქმედებების შესაბამისად
 - ტყის ხანძრების UNECE/FAO სპეციალისტების ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად საქართველო (როგორც UNECE წევრი ქვეყანა,) უზრუნველყოფს ეროვნული პასუხისმგებელი პირის (national focal point) განსაზღვრას;
 - როგორც ტყის ხანძრების UNISDR რეგიონული სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის/კავკასიის ქსელის და, შესაბამისად, ტყის ხანძრების UNISDR მსოფლიო ქსელის მონაწილე ქვეყანა, საქართველო აქტიურად მონაწილეობს აღნიშნული ქსელების მუშაობაში;
 - საქართველო მხარს უჭერს ტყის ხანძრების ქრობასთან დაკავშირებული რეგიონული ვარჯიშების ჩატარებას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სამხრეთ კავკასიისა და მეზობელი რეგიონის ქვეყნები, მაგ. თურქეთი და ბალკანეთის ქვეყნები.

4. მოკლევადიან პერიოდში განსახორციელებელი პირველდაწყებითი გადაუდებელი პრიორიტეტული ქმედებები

ეროვნულ დონეზე ხანძრების მართვის საქმეში არსებული ხარვეზებისა და ნაკლოვანებების დაძლევის მიზნით საჭიროა მოკლევადიან (1 წლიან) პერიოდში განხორციელებული იქნეს შემდეგი პირველდაწყებითი გადაუდებელი პრიორიტეტული ქმედებები:

4.1 კვლევის, ინფორმაციისა და ანალიზის სფეროში

- სტრუქტურული ერთეულის იდენტიფიკაცია ან შექმნა ბუნებრივ ხანძრებთან დაკავშირებული კვლევის, მონიტორინგის და მართვის სფეროში. აღნიშნული ერთეული მიზანშეწონილია ფორმირებული იყოს ტყის ფონდის მართვაზე უშუალოდ

პასუხისმგებელი ერთ-ერთი ცენტრალური უწყების ბაზაზე (ამგვარი ერთეულის ფუნქცია შეიძლება დაეკისროს უკვე არსებულ სტრუქტურულ ერთეულს და შესაბამისად, ამავე ერთეულის შემადგენლობაში შერჩეულ იქნეს ბუნებრივ/ტყის ხანძრებზე პასუხისმგებელი თანამშრომელი (ნაციონალ ფირე მანაგემენტ ოფიცერი);

4.2 სამართლებრივი ბაზისა და ინსტიტუციონალური გაუმჯობესების სფეროში

- ტყის კოდექსსა და „ტყის ფონდის მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანა ტყის ფონდის მიწებზე ტყის ხანძრების მართვის გეგმების შემუშავების ვალდებულების გათვალისწინებით, ტყითმოსარგებლეთა პასუხისმგებლობის ჩათვლით;
- სამთავრობო დონეზე ან ტყის ფონდის მართვაზე უშუალოდ პასუხისმგებელი უწყებების მიერ ერთობლივი სათათბირო/საკოორდინაციო კომისიის/საბჭოს სტატუსით ტყის ხანძრების მართვის (ტყის ხანძრებისაგან დაცვისა და პრევენციის) კომისიის/საბჭოს ჩამოყალიბება.

4.3 ბუნებრივი ხანძრების საფრთხის, რისკის და დაუცველობის შემცირებისა და ბუნებრივი ხანძრების პრევენციის სფეროში

- მკაფიოდ განსაზღვრული ვალდებულებების შემუშავება ტყითმოსარგებლებისათვის, მათ მიერ ხანძრების პრევენციისა და მზადყოფნის ღონისძიებების გატარების შესახებ და მათი აღსრულების უზრუნველყოფა;
- საზოგადოების ინფორმირებულობის კამპანიების ჩატარება ბუნებრივი ხანძრების პრევენციის ხელშესაწყობად, მაგ. დიდი საინფორმაციო დაფების დაყენებით ხანძრის რისკს დაქვემდებარებულ ტყეებში და დაცულ ტერიტორიებზე, დასასვენებელ ზონებში (ე.წ. „სარეკრეაციო-საპიკნიკე ადგილებში“).

4.4 მზადყოფნის სფეროში

- ბუნებრივი/ტყის ხანძრების მართვის საერთაშორისო მითითებების (მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მეთოდური მითითებები მცენარეული საფარის ხანძართან დაკავშირებით; გაეროს მითითებები მოხალისეებისთვის ხანძარის მართვასთან დაკავშირებით) თარგმნა.

4.5 რეაგირების სფეროში

- დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერის მოძიება და მოზიდვა ბუნებრივი/ტყის ხანძრების გაზრდილი რისკის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე სპეციალიზირებული

სახანძრო ქვედანაყოფების აღსაჭურვად მსუბუქი მექანიზებული სატრანსპორტო და სხვა საშუალებებით (ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკის სპეციალიზირებული სახანძრო ქვედანაყოფის გამოცდილების გათვალისწინებით).

4.6 საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში

- ტყის ხანძრების UNECE/FAO სპეციალისტების ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს (როგორც UNECE წევრი ქვეყნა) მიერ ეროვნული პასუხისმგებელი პირის (national focal point) განსაზღვრა.

ზემო აღნიშნული ქმედებების განხორციელება პირველდაწყებით ეტაპზე შესაძლებელი იქნება ბუნებრივი/ტყის ხანძრების სფეროში მოქმედი სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერის საფუძველზე.

<http://www.fire.uni-freiburg.de/intro/team.html>

<http://www.fire.uni-freiburg.de/GlobalNetworks/SEEurope/SEEurope.html>

<http://www.fire.uni-freiburg.de/GlobalNetworks/globalNet.html>

გამოცემაზე მუშაობდა: მარიკა ფიროსმანაშვილი

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა / დედამიწის მეგობრები საქართველო
საქართველო, თბილისი, სლავა მეტრეველის 4
ტელ/ფაქსი: (+995 32) 2399543; ელ-ფოსტა: info@greens.ge
ვებ-გვერდი: www.greens.ge, www.cleanup.ge

